# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან პარასკევი, 26 აპრილი 1996 № 32 (257) ფასი 40 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 0:5! საშინელება ბუქარესტში



## აკაკი დევაძეს უნდა ვუთხრათ მადლობა, 0:12 რომ არ წავაგეთ!



## ვიორელ მოლდოვანმა, შვეიცარიის „ქსამაქსის" 23 წლის მოთამაშემ, ქართველებს 9 წუთში ჰეთ-თრიკი შეუსრულა

## ალექსანდრე სპირიდონი: ქართველებმა იმედი გამიცრუეს...

თამაშის წინ მოლდოვის ნაკრების მეორე მწვრთნელი ალექსანდრე სპირიდონი შევიპირე, მატჩის შემდეგ კომენტარისთვის დაგირეკავ-მეთქი. დავურეკე, მაგრამ ვაი ამ დარეკვას...

— გუშინ სულ სხვა გუნდს ველოდი, მაგრამ იმას, საქართველოს ნაკრები რომ ერქვა, გუნდს ვერ დავარქმევ. ფეხბურთელები დადიოდნენ მინდორზე, არავითარი კავშირი არ იყო რგოლებს შორის, გაურკვეველი იყო ტაქტიკური მონახაზი. რუმინეთში ვერ წავედი და როგორც აღმოჩნდა, ტყუილად ვნანობდი არწასვლას. მეგონა, ვიხილავ გუნდს, რომელიც დავაჟკაცდა-მეთქი, მაგრამ მოვტყუვდი. არ ვიცი, სინამდვილეში როგორ იყო, ტელევიზორში კი ისე ჩანდა, რომ თქვენები რაღაც შიშით გამოვიდნენ, წინასწარ განწირულები იყვნენ...

— ჩვენებიდან ვინმეს გამოყოფა თუ შეიძლება?

— ერთადერთი — ქინქლაძის. მისი თამაში ეპიზოდებში გაიელვებდა ხოლმე, რაც მაყურებელს სიამოვნებას ანიჭებდა. მაგრამ სამწუხაროდ, სხვებმა მას მხარი არ აუბეს. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ქინქლაძის დარი ფეხბურთელი ევროპაში სანთლით საძებარია.

— ჩვენი დამარცხების ძირითადი მიზეზებს რაში ხედავთ?

— დაცვის უხუხტეს თამაშში! კუდინოვი და ჩიხრაძე რას აკეთებდნენ, საერთოდ ვერ გავიგე. ძალზე სუსტად ითამაშა ცხადაძემაც. შელიას არყოფნა გუნდს აშკარად ეტყობოდა. ნახევარდაცვაც სუსტად გამოიყურებოდა, ჯამარაული ვერ ვიცანი, გოგიჩაიშვილი საერთოდ არ ჩანდა, ქეცბაიაც სუსტი იყო... თავდასხმაც უკბილოდ უტევდა, აკი შოთა არველაძე გამოცვალეს კიდეც. წარმოგიდგენიათ, საქართველოს ნაკრებმა კარში ერთადერთხელ დაარტყა! მოკლედ, ზუსტად ვერ გეტყვით რატომ, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ქართველი ფეხბურთელები მოვალეობის მოხდის მიზნით გამოვიდნენ მოედანზე.

— მეკარეზე რას იტყვით?

— არ ვიცი, ვინ რას იტყვის, მაგრამ მეც მწვრთნელი ვარ და იმ თამაშში დევაძეს არცერთ გაშვებულ ბურთში ბრალი არ ჰქონდა. ის კი არა, რამდენჯერმე გუნდი აშკარა გოლს გადაარჩინა კიდეც...

— მაშ, კიდევ ჰქონდათ რუმინელებს გოლის გატანის შანსი?

— კიდევო? ეს თამაში 0:8 ან 0:12 უნდა წაგვეგოთ. არ ვაჭარბებ...

— მაშასადამე, მეტოქეს ბრწყინვალედ უთამაშია...

— მე ასე არ ვიტყოდი. მე ვიცი რუმინეთის ნაკრების ნაღდი შესაძლებლობა. თქვენთან თამაშში რუმინელებმა თავისი ძალების მხოლოდ 70 პროცენტი გამოამჟღავნეს. ისინიც ისე ვერ იყვნენ, როგორც უნდა ყოფილიყვნენ. ეტყობა, მეტ წინააღმდეგობას ელოდნენ თქვენგან. მათ შორის გამოვყოფდი შვეიცარიის „ქსამაქსში" მოასპარეზე მოლდოვანს, რომელმაც სამი გოლი გაიტანა; ჰაჯის, ვინც სამი საგოლე პასი გააკეთა; ბელოდედიჩს და პოპესკუს, რომელთაც დაცვაც კარგად შეკრეს და მინდვრის შუაგულშიც ნაყოფიერად ირჯებოდნენ. რუმინელებს რომ ოდნავ მოემატებინათ, არ ვიცი, ანგარიში ალბათ ასტრონომიული იქნებოდა. ჩემი აზრით, სიცხემ და მინდვრის ხისტმა საფარმაც ითამაშა თავისი როლი, თქვენები ბურთს ვერ აგორებდნენ.

— ზემოთ ახსენეთ, ჩამოუყალიბებელი გუნდის შთაბეჭდილება დატოვა საქართველოს ნაკრებმაო...

— მე ასე მომეჩვენა. მეორე გოლი, ჩემი აზრით, ოფსაიტიდან შეაგდო მოლდოვანმა. ამან სულ მთლად დააბნია თქვენები. ეტყობა, გოლის გაშვება პანიკას იწვევს, ეს კი ჩამოუყალიბებლობის ნიშანია.

— მაყურებელი მრავლად ესწრებოდა?

— თორმეტი ათასი კაცი იყო...

— ქართველების სუსტმა თამაშმა იმედი ხომ არ გაგიღვიძათ ჩვენი მატჩის წინ?

— არა. საქართველოს ნაკრები შესარჩევ მატჩებში სულ სხვა ფეხბურთს ითამაშებს. არა მგონია, ინგლისთან და იტალიასთანაც ასე ისეირნონ მინდორზე ფეხბურთელებმა. ჩივაძისადმი დიდი პატივისცემის მიუხედავად, არ დავმალავ და ვიტყვი — ეს იყო შავი ლაქა ქართული ფეხბურთის ისტორიაში. თქვენ რომ ეს თამაში გენახათ, იგივე დასკვნას გააკეთებდით. ანგარიშს არ ვგულისხმობ, თამაში მაქვს მხედველობაში. ისე არ გამიგოთ, ზედმეტად ვხარჯავდე ქათინაურებს თქვენი მისამართით, მაგრამ მე ლამაზ, თანაბარ ორთაბრძოლას ველოდი. ვიფიქრე, თამაშისგან სიამოვნებას მივიღებ-მეთქი, მაგრამ... ძალზე გამიტყდა გული.

— თქვენც აპირებდით რუმინელებთან თამაშს...

— 1 ივნისს ვხვდებით მათ. მანამდე, უკრაინის ნაკრებთან შეხვედრისას უნდოდათ ჩემი საზეიმო გაცილება ფეხბურთიდან, მაგრამ თავი ვერ მოაბეს. იტალიასთან ან ინგლისთან გამაცილებენ...

მამუკა კვარაცხელია

## ჯერჯერობით უკომენტაროდ

გუშინ, გვიან ღამით, სამს რომ ოცი წუთი აკლდა, ავიაკომპანია „ორბის" თვითმფრინავმა ტუ-134-მა ჩვენი ორივე ნაკრების ფეხბურთელები და მათი ხელმძღვანელები ჩარტერული რეისით ბუქარესტიდან ჩამოაფრინა. ეროვნული ნაკრების მარცხის ამბავი თვითმფრინავის გამოჩენამდე ვიცოდით. მერე ახალგაზრდების წაგების შესახებაც შევიტყვეთ.

ხელმძღვანელობას დანა პირს არ უხსნიდა. უკეთეს დღეში არც ფეხბურთელები იყვნენ. ყველა დაღვრემილ-დადარდიანებული ჩანდა. საუბრის და ინფორმაციის მოწოდების თავიც არავის ჰქონდა. იმ მწირ ცნობებსაც, რომლებსაც ქვემოთ მოგაწვდით, მხოლოდ ფეხბურთელებისაგან გაკითხვ-გამოკითხვით შევაგროვეთ:

— ახალგაზრდულ ნაკრებს თურმე ურიგოდ არ უთამაშია. მართალია, რუმინელებმა პირველი ტაიმი 1:0 მოიგეს, მაგრამ შესამჩნევი უპირატესობა არ ჰქონიათ. მეორე ტაიმში გუცაევს სათამაშოდ დემეტრაძე შეუშვია, გიორგისაც თავი უსახელებია, თამაშიც გაუმწვავებია, ხოლო 65-ე წუთზე კიკნაძისაგან მოედნის სიღრმიდან პასი მიუღია და შეტევა გოლით დაუგვირგვინებია. ჩვენების წარმატება ვერ აუტანია არბიტრს — ჯერ კობიაშვილი გაუძევებია, ხოლო შემდეგ ჩვენს კარში უსამართლო პენალტი დაუნიშნავს, რომელიც მასპინძლებს გამოუყენებიათ. ამის შემდეგ ინიციატივას თურმე ჩვენები ფლობდნენ, საგოლე მომენტი იაშვილს გაუცუდებია, ხოლო კაპიტან კიკნაძეს ცარიელ კარში ვერ გაუტანია. საბოლოოდ 2:1 დავმარცხდით.

უფრო მძიმე გამოცდა ეროვნულ ნაკრებს ელოდა და მათაც ვერ ივარგეს:

...თამაშის წინ შელიასთვის ტემპერატურას აუწევია. 38 გრადუსი სიცხე ფეხბურთელს თამაშის საშუალებას არ მისცემდა და ამიტომ ალექსანდრე ჩივაძეს ახალგაზრდულიდან გუჩუა დაუმატებია.

... ჩვენებს თამაშისას კუთხური ვერცერთხელ ჩაუწოდებიათ. ის კი არა, სტუმართა საჯარიმოსკენ პირველად თამაშის 43-ე წუთზე დაძრულან.

...4:0-ზე კახა ცხადაძეს მარცხენა ფეხზე კუნთი ასტკივებია და შეცვლა მოუთხოვია.

...თამაშის მსვლელობისას იორდანესკუს რვავე სათადარიგო ფეხბურთელი უთამაშებია, ჩივაძეს — ხუთი.

აღსანიშნავია ისიც, რომ ვალტერ გუჩუამ ორივე ნაკრებში ითამაშა და, როგორც ამბობენ, არცთუ ურიგოდ. ისიც თქვეს, 12:0 რომ არ წავაგეთ, ეს დევაძის დამსახურება გახლავთო.

ქალაქისკენ ფეხბურთელებთან ერთად ვიმგზავრე, ყველა იმას მთხოვდა — თუ ძმა ხარ, თამაშზე არაფერი გვკითხოო. ერთს კი დასძენდნენ — არ ვიცით, რა დაგვემართა, მთელმა გუნდმა ვერ ითამაშაო...

ამ მარცხს შეიძლება უამრავი მიზეზი გამოეძებნოს, ერთი კი ფაქტია — 0:5.

მამუკა კვანტალიანი

24 აპრილი.

ბუქარესტი. სტადიონი „სტიაუა"

**რუმინეთი 5:0 საქართველო**

რუმინეთი (სასტარტო შემადგენლობა): სტელია, ფილიპესკუ, პროდანი, ბელოდედიჩი, ლუპესკუ, პოპესკუ, ლეკეტუში, საბეუ, მოლდოვანი, ჰაჯი, მუნტიანუ

საქართველო: დევაძე, რევიშვილი, ცხადაძე (სეფაშვილი), ჩიხრაძე, კუდინოვი, გოგიჩაიშვილი (იონანიძე), ნემსაძე (გუჩუა), ჯამარაული (ცქიტიშვილი), ქეცბაია, ქინქლაძე, არველაძე (გოგრიჭიანი)

გოლი: 1:0, 2:0, 3:0 მოლდოვანი (26, 29, 37), 4:0 ლეკეტუში (50), 5:0 გილჩა (87)

მსაჯი: ათანასიოს ზაქარიადისი (საბერძნეთი)

## ამბავი ქართველთა ნგრევისა

ევრო-96-ის ფინალისტი რუმინეთის ნაკრები მთელი 90 წუთის განმავლობაში ანგრევდა ქართველების შემცბარ და ქაოსურ დაცვას. ქართველებთან ამხანაგურ მატჩში შვეიცარიის „ქსამაქსში" მოთამაშე მოლდოვანის ჰეთ-თრიქმა რუმინელები შთამბეჭდავ გამარჯვებამდე მიიყვანა. მოლდოვანმა სამი გოლის გატანას სულ რაღაც 9 წუთი მოანდომა. მეორე ტაიმში მასპინძლები ასეთივე განწყობით თამაშობდნენ და ჯერ ლეკეტუშმა ჰაჯის პასით, ხოლო შემდეგ გილჩამ ანგარიშში სხვაობა ხუთამდე აიყვანა.

ქართველებს, რომელთაც „მანჩესტერ სიტის" გამთამაშებელი გიორგი ქინქლაძე ჰყავდათ, ერთი რეალური საგოლე მომენტიც ვერ შექმნეს.

რეიტერი. 24 აპრილი, 1996

# ვასილ სეფაშვილი: საქართველოში ტყუილად დავკარგე წლები



თბილისში ბულგარელებთან მოგებული შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ჩივაძეს ჰკითხეს, ხომ არ აპირებდა იგი ნაკრებში ახალი ხალხის მიწვევას, რაზეც ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა დადებითად უპასუხა. ერთ-ერთი სავარაუდო კანდიდატად რუსეთში მოთამაშე სეფაშვილი დაასახელა — მასზე მხოლოდ კარგი მსმენიაო. ჩივაძის ნათქვამმა ბევრს გაახსენა გურჯაანის „ალაზნისა“ და თელავის „კახეთის“ ყოფილი ფეხბურთელი, რომლის შესახებაც კარგა ხანი არაფერი გვსმენოდა. ჩივაძემ დანაპირები შეასრულა და სეფაშვილი რუმინეთთან ამხანაგური მატჩისათვის მიიწვია. ვასიკომ ნაკრების ვარჯიშზე ცოტათი დაიგვიანა და მას ბოლოსლა მიუსწრო, მაგრამ, დაგვიანების მიუხედავად, ჩივაძემ მაინც დატვირთა ფეხბურთელი — მოედნის გარშემო არბენინა. ჩვენი საუბარი სწორედ ამ ვარჯიშის შემდეგ გაიმართა. შეგახსენებთ, რომ სეფაშვილი ნაკრებში აქამდე ორჯერ იყო გამოძახებული, ჩივაძისა და მისი დებიუტი ნაკრებში დაემთხვა. პირველად ვასიკომ განჯაში აზერბაიჯანელებთან ითამაშა და მეორედ რიგაში — ლატვიის ნაკრების წინააღმდეგ.

უკვე აღვნიშნე — საქართველოდან რომ წავიდა, მერე ბევრი არაფერი ვიცოდი-მეთქი. ვასიკომ თავისი რუსული „ოდისეის“ შესახებ მიამბო — თუ როგორ მოხვდა „ლადაში“, რას აკეთებდა ამ ხნის განმავლობაში და საერთოდ, რატომ წავიდა რუსეთში:

— თელავის „კახეთიდან“ წამოსვლის შემდეგ ერთიხანობა თბილისის „დინამოში“ ვვარჯიშობდი. ეს ნოდიას დროს იყო — იგი ყურადღებას არ მაქცევდა, ჩემს იქ გაჩერებასაც რაღა აზრი ჰქონდა, ამიტომ ისევ „კახეთს“ დავუბრუნდი, მაგრამ მცირე ხნით. თელავში გაჩერება არ ღირდა და რუსეთში წავედი. „ლადაში“ გადასვლა ვიქტორ ტიშჩენკომ — „ლადას“ მაშინდელმა მესამე და ახლანდელმა მთავარმა მწვრთნელმა შემომთავაზა. იგი ჯერ კიდევ აქტიუბინსკში თამაშის დროს გავიცანი (ოთარ გაბელიამ გურჯაანში გუნდი რომ გააკეთა, მაშინ აქტიუბინსკიდან ჩამომიყვანა). მაშინდელ მთავარ მწვრთნელს გუნდში თავისიანები, სამარელები ჰყავდა და მათზე ამოსდიოდა მზე და მთვარე. შეკრების დროს საკონტროლო შეხვედრები ჩავატარეთ. ცუდად არ მითამაშია — რამდენიმე გოლიც გავიტანე. მწვრთნელმა შესანიშნავად იცოდა, რომ კარგად ვთამაშობდი, მაგრამ ჩემი აყვანა არ სურდა და განაცხადში თავისი ხალხი შეიყვანა, მე კი განზე დამტოვა. ეს 1995 წელს იყო, პირველი წრის მსვლელობისას. მეორე წრეში, აგვისტოდან კი ვითარება შეიცვალა, განაცხადში შემიყვანეს და თამაშის საშუალებაც მომეცა.

**— უმაღლეს ლიგაში წარუმატებელი დებიუტი გქონდათ. „სპარტაკთან“ წაგებამ კი საერთოდ უკან დაგწიათ...**

— ყველაფერი გუნდში მოსამზადებელი პერიოდის დროს დატრიალებული არეულობის ბრალი იყო. მწვრთნელის შეცვლა უნდოდათ, მერე დატოვეს, ცომაიაც მაშინ წავიდა, როცა ვითარება ისევ შეიცვალა, ვითარებასთან ერთად — მწვრთნელიც. იგი, როგორც ვთქვი, ჩემი ძველი ნაცნობი ვიქტორ ტიშჩენკო იყო. ეს კაცი ფეხბურთელს ფიზიკური მომზადებით აფასებს და ვარჯიში წრეზე გაუთავებელი სირბილი ჰგონია. ცომაიას წამოსვლის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ეს იყო. არა, არ იფიქრო, თითქოს ვარჯიშებს ვერ გაუძლო — პირიქით, მოსამზადებელ პერიოდში კარგად გამოიყურებოდა, მაგრამ მწვრთნელის დამოკიდებულება ვერ აიტანა — მან უთხრა, საკონტროლო შეხვედრების შემდეგ შეგხედავ, როგორ ითამაშებო. დათო გამოცდილი ფეხბურთელია, ბევრიც უნახავს და საამისოც არაფერი სჭირდა, მწვრთნელს მისთვის ეჭვის თვალით რომ შეეხედა. საერთოდ, ხომ გითხარი კიდეც — ჩემი მწვრთნელი ტიშჩენკო უცნაური კაცია, ფეხბურთელის კლასს ყურადღებას არ აქცევს. მისთვის მთავარი ფიზიკური მომზადებაა. მე პირველ ლიგაშიც ვთამაშობდი და იქ კიდევ შეიძლება ფეხბურთელი ფიზიკური მომზადების იმედზე იყოს, მაგრამ უმაღლეს ლიგაში ამას კლასიც თუ არ დაემატა, ვერაფერს გახდება.

**— გუნდის გამოცვლას ხომ არ აპირებ? რაც არ უნდა იყოს, მაინც აუტსაიდერია...**

— კონტრაქტი სეზონის ბოლომდე მაქვს გაფორმებული და ძალიანაც რომ მინდოდეს, მანამდე ვერსად წავალ.

**— არც მიწვევები გქონია?**

— კი, როგორ არა. შარშან კალინინგრადის „ბალტიკასთან“ კარგად ვითამაშე, გადამწყვეტი ერთადერთი გოლიც გავიტანე და ეტყობა, „ბალტიკის“ მწვრთნელს მოვეწონე, რადგანაც გადასვლა შემომთავაზა. სხვა წინადადება არ ყოფილა.

... რუსეთში გატარებულ ორ წელიწადს ასე შევაფასებდი — წასვლა გამართლებული იყო. საქართველოში წლები ტყუილად დავკარგე — ვერც „ალაზანში“ და ვერც „კახეთში“ თამაშს ვერ მოვუმატე, აქტიუბინსკიდანაც არ უნდა ჩამოვსულიყავი. საერთოდ, რუსულ ფეხბურთთან შეგუების შემდეგ ჩვენები კარგად თამაშობენ, მაგალითად „ალანიას“ ქართველებიც გამოდგებიან. ეგაა, რომ თავიდან შეჩვევა უჭირთ, თუნდაც ზაზა ჯანაშია ავიღოთ — მასზე ყველა კარგს ამბობს, თუმცა რუსულ ფეხბურთის გასაღებისთვის ჯერ ვერ მიუგნია.

**— შენ როგორ შეეგუე?**

— მე ადრეც — აქტიუბინსკში ვთამაშობდი რუსულ ყაიდის გუნდში და, ასე თუ ისე, ვიცი მათი სტილი, მანერა და ათასი წვრილმანი, რაც თამაშს მიადვილებს. მე უფრო იმას ვიტყოდი, რომ თავის დროზე ქართულ ფეხბურთს ვერ შევეწყვე — შეიძლება პირობების უქონლობის გამო. საერთოდ, საკუთარ თავს დიდ მოთხოვნებს ვუყენებ — ვარჯიშის შემდეგ ინდივიდუალურად ვმუშაობ. ასე იყო შარშან ტოლიატში, საქართველოში კი მსგავსი პირობები არ მქონდა. თუმცა წელს ამის შესაძლებლობა „ლადაშიც“ არა მაქვს — ფიზიკურად ისე ვიფიტები, რომ ინდივიდუალური მუშაობისათვის დრო აღარ მრჩება. „სპარტაკთან“ ამასწინანდელი თამაშისთვის მთელი სულითა და გულით ვემზადებოდი — გავიგე, რუსეთის ტელევიზია შეხვედრის ტრანსლაციას აწყობდა, მაგრამ არაფერი გამომივიდა. მიზეზი ისევ ტიშჩენკოა. „სპარტაკთან“ შეხვედრის წინ თვითონ იყო დაძაბული და აქეთ გვეჩხუბებოდა, რა შეშინებულები ხართო. ასე იყო თუ ისე, შეხვედრა თამაშის დამთავრებამდე 12 წუთით ადრე 0:1 დავთმეთ.

**— შენ ამბობ, რომ საქართველოში დრო დაკარგე. რუსეთში გადასვლამ რა შეგძინა?**

— ჯერ ერთი, ფიზიკურად მოვმძლავრდი. თელავში კი, ვარჯიშით თავიც რომ მომეკლა, შედეგს მაინც ვერ გამოიღებდა. რეჟიმს საერთოდ არ ვიცავდით — დროზე დაძინება, ადგომა, კვების ნორმების დაცვა და ბევრი სხვა რამ ჩვენთვის არ არსებობდა. ეს ყველაფერი კი თამაშზე უცილობლად მოქმედებს. მოკლედ, „ქართველ“ და „რუს“ სეფაშვილს შორის დიდი განსხვავებაა. თანაც, გუნდი უმაღლეს ჯგუფში გადავიდა და ვფიქრობ, ამაში მეც შევიტანე საკმაოდ დიდი წვლილი.

**— როგორ ფიქრობ, „ლადას“ გაუძნელდება უმაღლეს ჯგუფში დარჩენა?**

— ჯერჯერობით ძნელია მაგის თქმა. მიუხედავად იმისა, რომ პირველი რვა მატჩიდან ჯერ არცერთში არ გაგვიმარჯვია. კარგად კი შეაფასეს რამდენიმე მატჩში ჩვენი თამაში, მაგრამ, რაც გინდა — ქულები არ გვაქვს. უიღბლობაა ამის მიზეზიო, ვერ ვიტყვი. ალბათ, უფრო დაბალი კლასის შედეგია.

მერაბ მამულაშვილი

# «შევარდენის» ყოფნა-არყოფნა 26-ში გადაწყდება

ჩვენი საფეხბურთო ჩემპიონატის პირველ ლიგაში მოასპარეზე თბილისის „შევარდენში“ დაწყებული არეულობის შესახებ წინა ნომერში გიამბეთ. იმასაც შეგპირდით, რომ ამ ნომერში კლუბის მომავალ ბედ-იღბალზე მოგაწვდიდით ამომწურავ ინფორმაციას. „შევარდენის“ ხელმძღვანელობას ამჯერადაც ვერ ვესაუბრეთ. საქმე ის გახლავთ, რომ ზურაბ ქიტიაშვილი და მალხაზ გუგავა გუნდის საქმეების მოსაკვარახჭინებლად ქალაქიდან აღმოჩნდნენ გასულები. მათი მომლოდინე ფეხბურთელები კი უსაქმოდ დარჩნენ. ვარჯიშები არ ტარდება. და ეს მაშინ, როცა დღეს შევარდენელთა მომდევნო ტურში მონაწილეობა-არმონაწილეობის და, საერთოდ, არსებობის საკითხი უნდა გადაწყდეს. დღეს, 12 საათზე კლუბის თავკაცები მწვრთნელებს და ფეხბურთელებს შეხვდებიან. ეს შეხვედრა ალბათ ყველაფერს ნათელს მოჰფენს.

მანამდე კი ერთ ინფორმაციას მოგაწვდით:

გუნდის თითქმის ყველა ფეხბურთელი ერთი აზრისაა — თუ 26 აპრილამდე ჩვენი პრობლემები (იგულისხმება ხელფასებისა და პრემიების გადაუხდელობა) არ გადაიჭრება, თამაშზე არ წავალთო. არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, ადვილი სავარაუდოა, რომ მიმდინარე ჩემპიონატი საფეხბურთო კლუბ „შევარდენის“ გარეშე ჩამთავრდეს.

# მრეტები გერმანიაში მიდიან

ძნელია ნოსტალგიის გარეშე გაიხსენო ეს გუნდი, უმაღლეს ლიგას კომეტასავით რომ ჩაუქროლა და ლამაზი მოგონება დატოვა: „მრეტები“ — ქინქლაძის, ტყავაძის, ჯანელიძის და სიდამონიძის გუნდი. დრო უმოწყალოდ მოექცა ერთ დროს თბილისელ გულშემატკივართა ფავორიტს: II ჯგუფში გავარდნილი აქაც თამაშს თამაშზე აგებს და მყარადაა დამკვიდრებული აუტსაიდერთა რიგებში.

ბოლოსწინა ტურში გუნდს 0:12 წაუგია. როგორც შევიტყვეთ, გუნდს უახლოეს მომავალში რამდენიმე ფეხბურთელი დატოვებს, რამაც, შესაძლოა, კიდევ უფრო დაასუსტოს. „მრეტების“ ერთ-ერთი წარმომადგენლის, ირაკლი ქავთარაძის თქმით, „ახლა გერმანიაში, აუგსბურგის გუნდში გასასინჯად კახა სიდამონიძე, გელა ქორიძე და ვახტანგ იაგორაშვილი იმყოფებიან. მათ ალბათ ექვსი თვით ვათხოვებთ გერმანელებს“.

„მრეტების“ დღევანდელი სატურნირო მდგომარეობა, ბუნებრივია, ეჭვქვეშ აყენებს მის მომავალს, მაგრამ გუნდის ხელმძღვანელობა იმედს არ ჰკარგავს და გამოსავალს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებაში ხედავს, მით უმეტეს, რომ, მათი სიტყვებით, თბილისის „დინამოდან“ „მანჩესტერ სიტიში“ გადასული ექს-მრეტის, გიორგი ქინქლაძის საფასურის 50 პროცენტი გუნდის წილი ყოფილა.

# თურქეთში დიდი ამბებია

საჩემპიონო ორთაბრძოლამ „ტრაბზონსპორსა“ და „ფენერბაჰჩეს“ შორის კულმინაციას მიაღწია. შეგახსენებთ, რომ 29 ტურის შემდეგ შოთა არველაძის გუნდმა ოთხქულიან უპირატესობას მიაღწია და თავი უკვე ჩემპიონიც ეგონა, მაგრამ სწორედ მაშინ მოხდა სენსაცია. 30-ე ტურის მატჩში „ტრაბზონსპორი“ მაჩანჩალა „ვანსპორს“ მასპინძლობდა. ამ თამაშამდე სტუმრები მეთხუთმეტე ადგილზე იყვნენ და გავარდნის საფრთხეც ემუქრებოდათ. როგორც ჩანს, ამან დაამშვიდა ტრაბზონელი ფეხბურთელები, მაგრამ მეტოქის დაუფასებლობა სანანებელი გაუხდათ. მასპინძლები მთელი ორი ტაიმის განმავლობაში უტევდნენ, უამრავი საგოლე მომენტი შექმნეს, ბურთი ათჯერ სტუმართა კარის ძელსაც მოხვდა — მათ შორის შოთას დარტყმულიც, დანარჩენ შემთხვევებში კი მატჩის საუკეთესო მოთამაშედ აღიარებული და ლამის გმირად შერაცხული ვანსპორელი მეკარე ჰაჟკაცობდა. მერე სტუმრებსაც მიეცათ გული და ხელი გამოიღეს. ერთ-ერთი კონტრშეტევის დროს იხეირეს კიდეც. ერთადერთმა გატანილმა გოლმა სტუმრებს გამარჯვება მოუტანა და მეთორმეტე ადგილზე დაამკვიდრა, ხოლო მასპინძლებს მეტად გაურთულა საქმე.

„ტრაბზონსპორის“ წაფორხილებით „ფენერბაჰჩემ“ ისარგებლა და სტუმრად 1:0 მოუგო „ანთალიას“. სხვაობა ლიდერებს შორის მინიმუმამდე შემცირდა. სათამაშო კი კიდევ ოთხი ტურია. ჩემპიონის ვინაობა, სავარაუდოდ, ხუთ მაისს გაირკვევა ტრაბზონში, სადაც „ტრაბზონსპორი“ „ფენერს“ უმასპინძლებს.

ლიდერთა დუელში ჩართვა მესამე ადგილზე მყოფ „ბეშიქთაშსაც“ შეეძლო, მაგრამ გუნდმა ეს შანსი ბოლო ტურში „ქოჩაელთან“ შინ 3:5 წაგებით დაჰკარგა.

თურქეთის ჩემპიონატს ჯერჯერობით ისევ შოთა არველაძის „ტრაბზონი“ ლიდერობს 73 ქულით. მეორე ადგილზე „ფენერბაჰჩეა“ — 72 ქულა, ხოლო მესამეზე — „ბეშიქთაში“. მას 69 ქულა აქვს. ალბათ, ამათ დავაში „გალათასარაი“ ვერ ჩაერევა. ლომებმა ძალიან ბევრი დაკარგეს და ამჟამად 62 ქულით მეოთხე ადგილზე არიან.


## სააგენტო „მინერვა“

**მოგვმართეთ და თქვენს წინაშე ხელისგულივით გადაიშლება მთელი მსოფლიო.**

— მომსახურება საერთაშორისო სტანდარტების დონეზე;

— ბილეთები ავია-რეისებზე მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის მიმართულებით;

— მყარი, შეუვალი გარანტიები და რაც მთავარია — მაქსიმალურად ხელმისაწვდომი ფასები.

**ყველაფერი ეს — ჩვენთან!**

მისამართი: კინოთეატრი „რუსთაველი“, (ცენტრალური შესასვლელი). ტელ: 93-22-53


## მეორე ჯგუფი

25-[illegible] ორივე [illegible] ლობის გარეშე ჩაიარა. ლიდერებმა [illegible] გი [illegible] იდეოები ისევ დამარცხნენ.

იმატა ჩაშლილი თამაშების რიცხვმაც. არა მატჩებზე მომხდარი ექსცესების გამო — ჩვენდა საბედნიეროდ, ჯერჯერობით მსგავსი არაფერი მომხდარა. დანიშნული მატჩები მხოლოდ სტუმართა გამოუცხადებლობის გამო არ ტარდება. ბოლო ხანს ასეთი შემთხ[illegible]ვები ძალიან გახშირდა. დასავლეთში „ჩხერიმელას“ „ჩიხურასთვის“ უნდა ემასპინძლა. თამაშზე მსაჯებიც დროულად ჩავიდნენ, ადგილობრივი გუნდიც სრულ მზადყოფნაში იყო, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, საჩხერელთა გამოჩენას არ დაადგა საშველი. დებულების თანახმად „ჩხერიმელას“ 3:0 მოგება ჩაეთვალა, ხოლო „ჩიხურას“, ალბათ, მარტო წაგებას არ აკმარებენ: თუ რაიმე საპატიო მიზეზი არ გამოძებნა საჩხერულმა გუნდმა, მეტოქის უპატივცემულობისთვის ფულად ჯარიმასაც შეიძლება გამოკრას ხელი. არადა, არ გვგონია, საჩხერელებს ფინანსები მოჭარბებოდეთ.

აღმოსავლეთში კი „მრეტებს“ ჩაეთვალა წაგება, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ თბილისური გუნდი ამჟამად მასპინძლის როლში გამოდიოდა. „მრეტებს“ გარდაბნელი ენერგეტიკოსებისთვის უნდა ემასპინძლა. სხვათა შორის, გარდაბანის გუნდი საშინაო თამაშებს თბილისში, ვარკეთილის სტადიონზე ატარებს. საქმე კი ისაა, რომ გარდაბანში სათამაშო მინდორი არ არის შემორაგული და უსაფრთხოების გარანტიის უქონლობის გამო „ენერგეტიკოსს“ შინ თამაში აუკრძალეს. კლუბის ხელმძღვანელობამ თადარიგი დროზე დაიჭირა და ვარკეთილის სტადიონი ინათხოვრა. გარდაბნელებმა იცოდნენ, „მრეტებს“ სტადიონის გასაჭირი რომ ჰქონდათ, ამიტომ თბილისელებს ვარკეთილში თამაში შესთავაზეს, რაზეც მტკიცე უარი მიიღეს. დანიშნულ დღეს სტუმრები დედაქალაქს ესტუმრნენ, მაგრამ მრეტებმა სტადიონი ვერ გააჩალიჩეს. აქეთ ეცნენ, იქითაც, და ბოლოს შავსაფრიან მინდორზე, ეროვნული სტადიონის გვერდით რომ არის, იქ შესთავაზეს სტუმრებს თამაში. მაგაზე „ენერგეტიკოსის“ ხელმძღვანელობა გაჯიუტდა — მაგ სტადიონზე ფეხბურთელები დაგვემტვრევიან და ვერ ვითამაშებთო. იმსჯელეს და საბოლოოდ ეს დავიდარაბა იმით დასრულდა, რომ „მრეტებმა“ კიდევ ერთი წაგება მიითვალა.

### აღმოსავლეთი

XXV ტური

ჭაბუკიანი — დინამო 2 0:1
თორი — კოდაკო 2:0
იბერია — არმაზი 2:0
მრეტები — ენერგეტიკოსი 0:3
აზოტი — მერანი 91 0:1
ასკ — მესხეთი 5:1
ყინერი — უნივერსიტეტი 0:4
აკადემია — ალგეთი 2:0
შირაქი — მორკინალი 0:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მერანი 91 | 24 | 18 | 3 | 3 | 62:12 | 57 |
| აკადემია | 24 | 17 | 3 | 4 | 45:24 | 54 |
| დინამო 2 | 13 | 16 | 3 | 4 | 60:15 | 51 |
| მორკინალი | 24 | 14 | 5 | 5 | 38:18 | 47 |
| უნივერსიტეტი | 23 | 13 | 3 | 7 | 50:25 | 42 |
| აზოტი | 23 | 12 | 6 | 6 | 42:23 | 42 |
| არმაზი | 23 | 11 | 8 | 4 | 28:14 | 41 |
| ასკა | 24 | 11 | 4 | 9 | 40:29 | 37 |
| ჭაბუკიანი | 24 | 11 | 2 | 11 | 51:42 | 35 |
| ენერგეტიკოსი | 23 | 10 | 4 | 9 | 37:31 | 34 |
| იბერია | 24 | 10 | 1 | 13 | 32:41 | 31 |
| ალგეთი | 24 | 9 | 4 | 11 | 29:37 | 31 |
| ყინერი | 24 | 6 | 5 | 13 | 27:56 | 23 |
| ცხინვალი | 23 | 5 | 6 | 12 | 22:30 | 21 |
| კოდაკო | 23 | 5 | 6 | 12 | 26:53 | 21 |
| შირაქი | 24 | 5 | 6 | 13 | 23:52 | 21 |
| მრეტები | 24 | 5 | 6 | 13 | 18:50 | 21 |
| თორი | 24 | 3 | 4 | 17 | 20:50 | 13 |
| მესხეთი | 24 | 3 | 3 | 18 | 22:70 | 12 |

### დასავლეთი

XXV ტური

ბახმარო — სამგურალი 0:2
მერცხალი — საპოვნელა 2:2
შუქურა — კოლხეთი 2 3:0
მაღაროელი — მამისონი 4:0
სქური — რწმენა 1:0
სულორი — მარგვეთი 2 2:1
იმერეთი — ზუგდიდი 2 3:1
ჩხერიმელა — ჩიხურა 3:0
(ჩიხურა თამაშზე არ გამოცხადდა)
მეშახტე — იაგუარი 1:1
სამეგრელო — ანჯელი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამგურალი | 25 | 22 | 2 | 1 | 78:21 | 68 |
| ანჯელი | 25 | 22 | 1 | 2 | 65:16 | 67 |
| შუქურა | 25 | 21 | 3 | 1 | 83:19 | 66 |
| მაღაროელი | 25 | 20 | 2 | 3 | 61:20 | 62 |
| იაგუარი | 25 | 16 | 2 | 7 | 51:32 | 50 |
| სულორი | 25 | 16 | 1 | 8 | 49:30 | 49 |
| მამისონი | 25 | 11 | 2 | 12 | 43:49 | 35 |
| რწმენა | 25 | 11 | 2 | 12 | 45:35 | 35 |
| მერცხალი | 25 | 9 | 8 | 8 | 32:33 | 35 |
| იმერეთი | 25 | 10 | 4 | 11 | 37:33 | 34 |
| კოლხეთი 2 | 25 | 9 | 4 | 12 | 31:35 | 31 |
| საპოვნელა | 25 | 8 | 7 | 10 | 32:53 | 31 |
| სამეგრელო | 25 | 8 | 4 | 13 | 35:51 | 28 |
| ზუგდიდი 2 | 25 | 7 | 7 | 11 | 41:45 | 28 |
| სქური | 25 | 8 | 2 | 15 | 30:47 | 26 |
| მეშახტე | 25 | 6 | 5 | 14 | 39:45 | 23 |
| მარგვეთი 2 | 25 | 7 | 1 | 17 | 27:53 | 22 |
| ჩიხურა | 25 | 4 | 3 | 18 | 30:77 | 15 |
| ჩხერიმელა | 25 | 3 | 2 | 20 | 33:90 | 11 |
| ბახმარო | 25 | 0 | 2 | 23 | 25:87 | 2 |

# „ოდიში" და ხურცილავა ზუგდიდს დაუბრუნდნენ



ბოლო დროს ზუგდიდის „დინამოს" „სარბიელი" საკმაო ყურადღებას უთმობდა. მიზეზი ის გახლდათ, რომ კლუბს სათავეში ახალგაზრდა კაცი, 31 წლის პარლამენტარი ბეჟან გუნავა ჩაუდგა. პირველი, რაც მან გააკეთა, ის იყო, რომ კლუბს ჟღერადი ქართული სახელი — „ოდიში" დაუბრუნა. გუნავამ დანიშვნისთანავე თქვა, რომ მისი კლუბში მოსვლის მიზანი „ოდიშის" ძლიერ გუნდად ქცევა და ევროთასების საგზურის მოპოვება იქნებოდა. ახალი პრეზიდენტი ხეირიანად დანიშნულიც არ იყო, რომ „ოდიშმა" ორი პატარა სასწაულის ტოლფასი რამ ჩაიდინა: ჯერ თბილისში „დინამოს" ვაჟკაცური ბრძოლა გაუმართა და ლამის იყო, ფრედ დაამთავრა მატჩი, მერე კი „სამტრედიას" შინ 2:0-ს უგებდა, მაგრამ მატჩი ფრედ დამთავრდა და ამით „სამტრედიას" „დინამოსთან" საჩემპიონო ბრძოლას წერტილი დაუსვა. მოკლედ, ახალმა პრეზიდენტმა ახალი, სასიცოცხლო ძალები შთაბერა გუნდს. სულ უკანასკნელი მონაცემებით, ბეჟან გუნავამ „შევარდენის" მწვრთნელი მურთაზ ხურცილავა დაიყოლია და ზუგდიდში ჩაიყვანა...

— ბატონო ბეჟან, რამდენად მართალია ინფორმაცია მურთაზ ხურცილავას „ოდიშში" მოსვლის შესახებ?

— რამდენიმე დღეა, რაც გუნდი ბატონი მურთაზის ხელმძღვანელობით ვარჯიშობს. როგორც ადრე გითხარით, ჩვენ ძლიერი გუნდის დაყენება გვინდა და ამისათვის მზადებას ახლავე შევუდექით. რაც შეეხება მურთაზ ხურცილავას „ოდიშში" მოსვლას, იგი ფაქტიურად დავიყოლიეთ. პატარ-პატარა ნიუანსები გვაქვს დასაზუსტებელი და მისი გუნდის სათავეში ჩადგომა ოფიციალურად ალბათ სეზონის დამთავრებისთანავე მოხდება. მანამდე კი ხურცილავა გუნდის კონსულტანტი იქნება.

— ასეთ შემთხვევაში „ოდიშის" ახლანდელი მთავარი მწვრთნელი ბადრი თუთბერიძე გუნდს დატოვებს?

— რატომ დატოვებს? თუთბერიძემ, როგორც ფეხბურთელმა და შემდეგ როგორც მწვრთნელმა, ჩვენს გუნდს იმხელა ამაგი დასდო, მისი გუნდიდან მოშორება დიდი დანაშაული იქნებოდა. თუთბერიძე გუნდის მწვრთნელად დარჩება, ამაზე ორი აზრი არ არსებობს.

— მაპატიეთ, მაგრამ თუ გაქვთ გაცნობიერებული, რა ყულფში ჰყოფთ თავს?

— რა თქმა უნდა, მაგრამ სხვაგვარად ვერ მოვიქცეოდი. როდემდე უნდა ჰყავდეს ზუგდიდს მაჩანჩალა გუნდი, რომელიც მხოლოდ ლიგაში დარჩენისთვის იბრძვის?

— თქვენ პოლიტიკოსი ხართ — სამეგრელოს მოქალაქეთა კავშირის ხელმძღვანელი, პარლამენტარი. განა ეს ხელს არ შეგიშლით საფეხბურთო საქმიანობაში?

— როცა კლუბის სათავეში ჩადგომაზე თანხმობა განვაცხადე, გარკვეულწილად ჩემი მომავალი კარიერაც შევაგდე სასწორზე, რადგან რისკი დიდია და გაუმართლებლობამ და წარუმატებლობამ მარტო გათამაშების ცხრილში კი არა, პოლიტიკაშიც იცის ქულების დაკარგვა.

— ასეთი რა „აჭამეთ" ზუგდიდელ ფეხბურთელებს, თბილისის „დინამოსთან" თავი ისე რომ გაიგიჟეს, ლიდერს ლამის ქულა წაართვეს, მერე კი მართლა დააკარგვინეს ქულა „სამტრედიას"?

— „სამტრედიასთან" შეხვედრის საყურებლად სამი ათასი კაცი მოვიდა. ამდენი ხალხი კარგა ხანია ზუგდიდის სტადიონს არ ახსოვს. „დინამოსთან" ძლიერად ჩატარებულმა თამაშმა ბიჭებს ძალა შემატა. რაც შეეხება თქვენს მიერ დასმულ შეკითხვას — დოპინგზე, რა თქმა უნდა ლაპარაკიც ზედმეტია, მაგრამ ბიჭებმა დაინახეს, რომ მისვლისთანავე ხელფასები და პრემიები გადავუხადეთ, ეს კი იმხელა სტიმული აღმოჩნდა... მთავარია, ფეხბურთელს ჰქონდეს რწმენა, რომ იგი ბედის ანაბარად არ არის მიტოვებული.

— თქვენ ბევრი „წინამორბედი" გყოლიათ, მაგრამ მხოლოდ ტარიელ ჩაჩუამ თუ გაძლო ერთ წელზე მეტი. მარტო კაცის ამბავიო, ხომ გაგიგონიათ...

— მე მარტო კაცი არ ვიქნები. ზუგდიდელ ბიზნესმენებს და საქმოსნებს ამის თაობაზე უკვე ვესაუბრე. ყველა მზადაა ფული ჩადოს ამ საქმეში. იმედია „ოდიში" არც ზუგდიდელ გულშემატკივრებს დაავიწყდებათ. ახლა ბულგარეთსა და თურქეთში ვაპირებ წასვლას, იქ მოღვაწე ზუგდიდელებს უნდა შევხვდე და კლუბისთვის ფინანსურ დახმარებაზე ვესაუბრო. მალე ანალოგიური მისიით აზერბაიჯანსაც ვეწვევი. თუ გუნდს მყარი ფინანსური ბაზა არ ექნა, არაფერი გამოვა და ჩვენც ერთწლიანი გუნდების ბედს გავიზიარებთ.

— კლუბის ხელმძღვანელობის როგორი სტრუქტურა აირჩიეთ?

— ჯერჯერობით მე საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე პრეზიდენტი ვიქნები, მაგრამ მალე გვექნება კლუბის ხელმძღვანელობის ისეთივე სტრუქტურა, თბილისის „დინამოს" რომ აქვს. შეიქმნება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაც, რომელიც გუნდის სპონსორი და მეპატრონე იქნება და შემოსულ თანხებს მთლიანად „ოდიშს" მოახმარებს.

— მაშ, სერიოზულად ფიქრობთ ახალ სეზონში ევროთასების საგზურისთვის ბრძოლას?

— რა თქმა უნდა. ამ ჩემპიონატს ღირსეულად ჩავამთავრებთ და ახალ ჩემპიონატში უკვე ხუთეულისთვის ვიბრძოლებთ, რათა ევროთასების საგზურს გამოვკრათ ხელი. მე მჯერა, რომ ზუგდიდურ ფეხბურთს აქვს ამის პოტენცია, მთავარია, ყველა რეზერვი ჩავაბათ ფეხბურთის სამსახურში.

— დიდ მიზნებს დიდი სტადიონიც სჭირდება...

— ორი ვარიანტი გვაქვს: გავარემონტოთ ეს სტადიონი ან დავამთავროთ ახალი სტადიონი, რომელიც ფაქტიურად აშენებულია ქაღალდკომბინატში. მალე ხარჯთაღრიცხვებს შევადგენთ და უკეთეს ვარიანტს ავირჩევთ. გარწმუნებთ, მალე ზუგდიდს ევროპის საკადრისი სტადიონი ექნება.

— საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მიმოფანტული ზუგდიდელი ფეხბურთელების ჩამოყვანასაც აპირებთ?

— ჩამოვიყვანთ ყველას, ვისაც კი მთავარი მწვრთნელი გუნდისთვის საჭიროდ ჩათვლის. ჩვენი გუნდის აბსოლუტური უმრავლესობა ზუგდიდელი ან სამეგრელოს რეგიონიდან იქნება. „ოდიშს" ოდიშური კოლორიტი უნდა ჰქონდეს.

— საქართველოში ასეა: თუკი რაიონის თავკაცი მოისურვებს, რაიონს გუნდი ეყოლება, თუ არადა, ფეხბურთი იქ დაღუპვის პირასაა. თქვენი რაიონის თავკაცს თუ უყვარს ფეხბურთი?

— ჩვენი გუბერნატორი ბონდო ჯიქია ფეხბურთის დიდი მოყვარულია, მაგრამ უკვე გითხარით, გუნდს დირექტორატი ეყოლება და „ოდიშსაც" სწორედ ის შეინახავს.

— ჯერ, რა თქმა უნდა, ნაადრევია ამაზე საუბარი, მაგრამ დავუშვათ და, ერთი წლის შემდეგ მოიპოვეთ ევროთასების საგზური. კარგი სტადიონის გარდა კარგი სასტუმროც იქნება საჭირო, და კიდევ ათასი სხვა რამ. თუ არა და, სხვა ქალაქში თამაშის პერსპექტივა გელით. ასე დაემართა „სამტრედიას" და „მარგვეთს". ასე მოუვა თქვენს გუნდსაც, თუკი საგზურს მოიპოვებს.

— გეთანხმებით. ჩვენ ისეთი მიზნები დავისახეთ, ამაზე ფიქრი აქედანვე საჭირო. ჩემი მონაცემებით, ერთი ზუგდიდელი ბიზნესმენი სასტუმრო „ოდიშის" შესყიდვას და მისი უმაღლესი კლასის სასტუმროდ გადაკეთებას აპირებს. ის კი არა, თვითმფრინავს ზუგდიდშივე მივიღებთ, ჩვენს მახლობლად ხომ დიდი აეროპორტი შენდება. მოკლედ, თუ გუნდმა ევროთასების საგზური მოიპოვა, ღირსეულად დავხვდებით სტუმრებს.

— როგორც შევიტყვე, საფეხბურთო ლიცეუმის დაარსება გადაგიწყვეტიათ. ამის გამოცდილება კი ალბათ ზუგდიდში არავის ექნება. მალე დაიწყებს ლიცეუმი ფუნქციონირებას თუ მის დაარსებას წლები დასჭირდება?

— წელს სექტემბერში ლიცეუმი პირველ მოწაფეებს მიიღებს. ჩვენ უკვე გამოვნახეთ შესაფერისი შენობა ზუგდიდის მეოთხე საშუალო სკოლის სახით. უფროსკლასელების კონტიგენტს ზუგდიდის საფეხბურთო სკოლებში მოთამაშე ბავშვებითა და მოზარდებით დავაკომპლექტებთ, მერე და მერე კი პატარებიც წამოიზრდებიან. ამ მიზნით ზესტაფონის ლიცეუმისა და თბილისში არსებული საფეხბურთო სკოლების ნახვასაც ვაპირებ. ჩვენთან ლიცეუმი კლასიკური პრინციპით იმოქმედებს — ვარჯიში, კვება, დასვენება, ძალების აღდგენა, სწავლა — ყველაფერი მის კედლებში მოხდება. ლიცეუმის დირექტორად, ალბათ, რომელიმე გამოცდილ სპეციალისტს მოვიწვევთ.



— დიდი გუნდი ბაზის გარეშე არ გაკეთდება...

— ბაზა კი ნაღდად ასარჩევად გვექნება, სოფელ რუხშიც და ზედა ეწერშიც გამოინახება შესაბამისი შენობა, მინდორი კი იმდენია... შესაძლოა ბაზა ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღშიც გამოინახოს. ადრეც იყო ამაზე საუბარი. მოკლედ, ბაზის პრობლემა არ გვექნება.

— შარშან ტრაგედიამ ზვიად ქაძანაიას სიცოცხლე შეიწირა, ბადრი დარასელია კი მძიმედ დაშავდა. ახლა გავიგე, მას ვარჯიშიც კი დაუწყია. რამდენად სერიოზულია დარასელიას ფეხბურთში დაბრუნების საკითხი?

— ბადრი ახლა ჩვენს გუნდთან ვარჯიშობს. ყველამ ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ ბადრი ფეხბურთს დავუბრუნოთ. სხვაგვარად დაიღუპება ეს ახალგაზრდა კაცი — მესმის, რომ ძალზე ძნელია ამის განხორციელება, მაგრამ იგი ფეხბურთს არ უნდა ჩამოშორდეს.

— მეორე ჯგუფის დასავლეთ ზონაში ზუგდიდის „დინამო 2" ასპარეზობს. ალბათ, მასაც, როგორც ფარმ-კლუბს, მიაქცევთ ყურადღებას...

— რა თქმა უნდა, დიდ გუნდს ფარმ-კლუბის გარეშე ძალიან გაუჭირდება.

— მაშ, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ...

— გმადლობთ. ბოლოს ერთსაც გეტყვით — ჩვენ ახლა, როგორც არასოდეს, ისე გვჭირდება ჟურნალისტთა თანადგომა. კიდევ ერთხელ გავიმეორებ: ძალზე სერიოზული მიზნებით მოვედი გუნდში და არ მინდა „ოდიშსაც" ერთწლიანებად მოხსენიებული გუნდების ბედი დაჰყვეს. ახალი სეზონიდან „ოდიშის" თამაშები ამაში დაგარწმუნებთ...

... ისეთი პირი უჩანს, „სამტრედია" ახალი სეზონიდან ველარ იქნება „დინამოს" სერიოზული კონკურენტი და მოწინააღმდეგე. თუ ბეჟან გუნავამ მართლა შეკრა ძლიერი გუნდი, იქნებ „ოდიში" გამოდგეს ის ძალა, ჩემპიონატს ინტრიგას რომ შემატებს და ბოლო ტურებამდე გაამწვავებს ჩემპიონობისთვის ბრძოლას...

მამუკა ქვარაცხელია


**იყიდება**

ორგანული, თეთრი გამჭირვალე მინა
ზომა 125X75
ტელ: 95-22-56
საღამოს საათებში




## რეზოც გადადის და «ჰომბურგიც»

კარგა ხანია რეზო არველაძის გერმანულ ბინაში მენეჯერების რიგი დგას. ვინ აღარ აკითხავს ჩვენს ლეგიონერს. როგორც მითხრეს, ამასწინათ როტერდამის „ფეიენოორდის" სელექციონერიც სწვევია ჰოლანდიაში გადასვლის თაობაზე.

ამასობაში რეზომ უკვე მოაწერა ხელი ბელგიის უმაღლესი დივიზიონის „მეხელენთან" სამწლიან კონტრაქტს. კონტრაქტი ასეთია: ერთს პლუს ერთი პლუს ერთი. ესე იგი, ყოველი სეზონის დამთავრების შემდეგ პირობები გადაისინჯება. „ჰომბურგიდან" კი ძალიანაც არ უნდათ რეზოს გაშვება, რაკილა გუნდს მოულოდნელად მეორე ბუნდესლიგაში გადასვლის შანსი გამოუჩნდა: ზედიზედ ორი გასვლითი მატჩის მოგების შემდეგ „ჰომბურგი" მეოთხე ადგილამდე აღზევდა და რაკილა პირველი სამეულიდან ორს სპეციალური ლიცენზია არა აქვს, გუნდმა მეოთხე ადგილზეც რომ დაამთავროს „ვესტ ზუდვესტ" რეგიონალლიგის ჩემპიონატი, მეორე ბუნდესლიგის საგზურს მაინც მოიპოვებს. სეზონის დამთავრებისთანავე გუნდს დატოვებს გიორგი ნემსაძეც, რომელსაც ასევე მრავალი კლუბი ეპატიჟება, მათ შორის „ტრაბზონსპორი" და ცსკა, ნიკა ჩხეიძე კი თუ გუნდში დარჩა, რანგით მაღალ დივიზიონში იასპარეზებს.

ახლა ბოლო ტურის მატჩზე, ზაარბრიუკენში რომ გაიმართა. ადგილობრივმა გუნდმა, თავის დროზე ქინქლაძე და შელია რომ თამაშობდნენ, „ჰომბურგი" მიიღო და 0:2 დამარცხდა. თუ ვინმეს გამოყოფა შეიძლება ამ მატჩში, უდაოდ ქართველებისა. ვინმემ თანამემამულეებისადმი მიკერძოება რომ არ დამწამოს, „კიკერს" დავიმოწმებ, რომელმაც სტატიას სათაურად „არველაძე-ნემსაძის დუეტი" წაუმძღვარა. ან რა გასაკვირია, როცა ორივე გოლი ჩვენებმა შეაგდეს. აი, რას წერს „კიკერი":

„... ზაარბრიუკენელებმა მატჩი ნერვიულად დაიწყეს, „ჰომბურგს" კი რა ჰქონდა სანერვიულო, მას ხომ არველაძე ჰყავდა, ყველა შეტევის ორგანიზატორი".

„...არველაძემ ჯერ საჯარიმო დარტყმით მოსინჯა მასპინძელთა კარი, შემდეგ კი ოცი მეტრიდან ყუმბარისებურად დაარტყა და პირველი გოლი გაიტანა. მას მშვენივრად აუბა მხარი ნემსაძემ, რომელმაც ხუთი წუთის შემდეგ მეორე გოლი გაიტანა და სრულყო ჰომბურგელთა წარმატება".

ჩემის მხრივ დავამატებ, რომ ქართველებმა გოლები 83-ე და 88-ე წუთებზე შეაგდეს. ტრადიციულად, რეზო არველაძის გვარი, როგორც მატჩის საუკეთესო მოთამაშისა, შავი შრიფტითაა გამოყოფილი. ამ თამაშში გიორგი გემსაძე მატჩის 57-ე წუთზე შემოვიდა გოუმაის ნაცვლად და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნახევარ საათში გოლიც შეაგდო. ზაარბრიუკენელი ქართველები, ტრიბუნაზე მრავლად რომ ისხდნენ, მთელი სულითა და გულით ქომაგობდნენ რეზოს და გიორგის.

ახლა რაც შეეხება აჩიკო არველაძეს. სამი დღის წინ იგი თურქეთში გაემგზავრა და აღდგენით ციკლს ტრაპიზონში გააგრძელებს. კვირაზე მეტია აჩიკომ ყავარჯნები გადააგდო და თავისუფლად დადის. როგორც ექიმებს უთქვამთ, აჩიკო უკეთეს შემთხვევაში, აგვისტო-სექტემბერში გამოვა მინდორზე.

ახლა გერმანიაში მოთამაშე კიდევ ერთი ქართველის შესახებ. „ნოიენკირხენში" მოასპარეზე ყოფილი ცხუმელი დიმიტრი პაპავას გუნდმა იმავე ტურში შინ „ბოპოლტი" დაამარცხა 2:0. ერთადერთი მოთამაშე, ვისი გვარიც შავი შრიფტითაა გამოყოფილი დიმიტრი პაპავაა...

გოჩა საითიძე
ზაარბრიუკენიდან

გოგი ახვლედიანის
შემოშველებული

## უყურებთ ფეხბურთს?

ფეხბურთმა შეიძლება შეგჭამოს — ამაში უკვე დავრწმუნდი. თანაც, თუ ფეხბურთს გამუდმებით უყურებ, უკვე ველარ არჩევ კარგს და ცუდს. მოკლედ, პროფესიად თუ ტელევიზორთან ჯდომა და საერთაშორისო ფეხბურთის ყურება გაიხადე, ჩათვალე რომ დაავადდი ფეხბურთოტონიის მძიმე ფორმით.

ეს კი არა და იმის დარდი მკლავს, მსოფლიო ჩემპიონატზე ოცდათორმეტი გუნდი რომ დაუშვეს — რა უყურებს ამდენ თამაშს? თანაც, სანამ რვა გუნდი დარჩება, რამდენი ნაგავი უნდა იხილო.

კიდევ კარგი, რომ ეროვნული ჩემპიონატები მაისის შუაგულისკენ მაიწც დამთავრდება და ევროპის პირველობამდე კაცი ცოტას ამოისუნთქავს. მაგრამ დიდი ხნით არა. ზაფხულში ინტერტოტო დაიწყება და ამას ოლიმპიადა მოსდევს. ოლიმპიური ფეხბურთი კი ამჯერად საყურებლად ივარგებსო, ამბობენ.

მოკლედ, კაცი ვერ მოიცლი და ფეხბურთით მოიწამლები.

და განა ადრე ასე იყო? ჩვენ დანატრული ვიყავით საერთაშორისო ფეხბურთს. გულზე ხელი დაიდეთ და თქვით: ხომ უყურებდით სსრკ — თურქეთის, სსრკ — კვიპროსის, ზენიტი — კუუსუსის, სკა როსტოვი — ანკარაგიუჯიუს მატჩებს? პანტიანში, კიკეთსა და კოჯორ-თეთრწყაროშიც ხომ გივლიათ ანტენით ოსმალეთის დასაჭერად?

ახლა კი ეს ყველაფერი და ამაზე ათჯერ მეტი აქ არის, ქალაქში.

უფრო მეტიც, სახლში გაქვს. თუ სახლში არა გაქვს, ძმაკაცს გააჩნია, ან მეზობელს, ან ნათესავს. აქეთ აიეტიო, იქით მეშვიდე არხიო, იბერიაო, კერძო ანტენაო და ათასი რამ.

აბა წარმოიდგინეთ და ნახავთ თუ არ გაგიჟდებით.

როგორია ფეხბურთის მაყურებლის დღე იმ კვირაში, როცა ევროთასები თამაშდება?

ორშაბათი — შუაღამისას ინგლისის ჩემპიონატის საუკეთესო მატჩი (იესპიენის არხი).

სამშაბათი — უეფას თასის თამაშები (ორი მაინც) სხვადასხვა არხებზე, რუსულების ჩაუთვლელად, შუაღამისას.

ოთხშაბათი — ჩემპიონთა ლიგა, შუაღამისას (ასევე ორი თამაში), პლუს დიდი მიმოხილვა ევროსპორტზე (გამთენიამდე).

ხუთშაბათი — თასების თასი. იგივე მდგომარეობა.

პარასკევი — დასვენების დღე (საუცხოო რამ!)

შაბათი — ესპანეთის ჩემპიონატის მთავარი მატჩი (ტვევე). ასევე ნაშუაღამევს.

კვირა — ათასგვარი მიმოხილვები.

ეს საფეხბურთო მიმოხილვები ხომ საერთოდ სათვალავში ჩასაგდები არაა, ყველა არხზე „სემიჭკასავით" მიდის ყოველდღე.

აი, ასეთი გრაფიკია და მიდი, იცხოვრე და იმუშავე.

პირდაპირ წარმოუდგენელია. თანაც თუ ნიძლავები და ფსონები გიყვარს, მშვიდად ვერც უყურებ.

სამწუხაროდ, ამაში ხელფასს არავინ გიხდის. ეს ისე, ჰობია და კარგი ჰობი კი გამოდის, ჩემმა მზემ.

ერთადერთი შვება ის არის, თუ მოახერხებ და ამ ჰობის პროფესიად გაიხდი.

ასეთი საფეხბურთო კვირეების გამოისობით შევბულება ავილე და პანათინაიკოს — აიაქსის თამაშის შემდეგ არარაფერი მინახავს. გამოვტოვე პსჟ-დეპორი. მაგრამ ერთგვარი „ლომკა" დამემართა და ბარსა — ატლეტიკოს ცალი თვალი შევავლე.

ამ კვირაში არაფერი მინახავს, გერმანია — ჰოლანდიაც კი.

პირველ მაისამდე ეროვნულ დაუმორჩილებლობას ვუცხადებ ფეხბურთს, თორემ გუნდები და ფეხბურთელები ერთმანეთში მერევა. ჯორდი და იოჰანიც ველარ გამირჩევია.

საქმეა ეს?

# ვენეიბლზის ინგლისი სხვანაირია

## ინგლისი 0:0 ხორვატია

33 650 მაყურებელი

ინგლისი: სიმენი, ნევილი, პირსი, ინსი, რაიტი, მაკმანამანი, პლატი, გესქოინი, ფაულერი, შერინგემი, სტოუნი

ხორვატია: მრმიჩი, პავლიჩიჩი, იარნი, სტიმაჩი, იერკანი, ბილიჩი, ასანოვიჩი, პროსინეჩკი, შუკერი, ბობანი, ბოკშიჩი

გაფრთხილება: პირსი, პავლიჩიჩი, ასანოვიჩი

ხორვატიის ნაკრების მწვრთნელი მიროსლავ ბლაჟევიჩი გაშრა. ლონდონს ჩასული, ჰერტფორდშირის საწვრთნელ ბაზაზე მიიყვანეს, სადაც მასპინძლებს სხვადასხვა ქვეყნებიდან თითო-თითოდ თავმოყრილი მისი მოთამაშეები დაებინავებინათ. აქ კი ამბავი დაახვედრეს, რომ მას და ფეხბურთელებს ჯერ ხორვატიის საელჩოში, ოფიციალურ მიღებაზე ელოდნენ, შემდეგ პრეს-კონფერენცია უნდა გაემართათ, მეორე სალამოს კიდევ ერთხელ უნდა გასაუბრებოდნენ მას-მედიას, მთელი ამ ხნის მანძილზე კი „უემბლიზე" სავარჯიშოდ მხოლოდ ერთხელ შეუშვებდნენ. ბლაჟევიჩს წარმოდგენაც არ ჰქონდა, რომ ასეთი დღის წესრიგი დახვდებოდა. თავიდან ისეთ ხასიათზე დადგა, ლამის ყველაფერი ჩაშალა.

სამაგიეროდ ეს ამბავი გულთან არ მიუტანია ალან ბოკშიჩს, „ლაციოში" რომ თამაშობს და თანამემამულეთ იტალიიდან რომ შეუერთდა. იგი საკმაოდ გულღიად ესაუბრა ინგლისელ ჟურნალისტებს:

— მწვრთნელის გუნება-განწყობა გასაგებია. მას უნდა, რომ ჩვენ, ფეხბურთელები მხოლოდ მატჩზე ვფიქრობდეთ, უფრო სწორედ მის მოგებაზე, თითქოს ის ამხანაგური კი არა, ოფიციალური იყოს. იქ, ხორვატიაში, ბოსნიის ომით გაწამებული ჩვენი ხალხი კარგ ამბებს ელის, ეს კი იმას ნიშნავს, რომ კარგად უნდა ვითამაშოთ და გავიმარჯვოთ. სინამდვილეში, ეს მატჩი ისე მნიშვნელოვანი არ არის, როგორც, მაგალითად, ევროპის პირველობის შეხვედრები იქნება, მაგრამ მაინც ყველანი ინგლისთან თამაშს რაღაც განსაკუთრებულად მიიჩნევენ. ჩვენ საკმაოდ მეგობრული და კეთილმოსურნე ხალხი ვართ, მაგრამ ფეხბურთს სხვაგვარად აღვიქვამთ. წაგებას ამხანაგურ მატჩშიც კი ვერ ვიტანთ. ხორვატებს ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთ აუტსაიდერად გვთვლიან. ინგლისელები ესპანელებზე, გერმანელებზე, ჰოლანდიელებზე, იტალიელებზე დაბლა გვაყენებენ, მაგრამ ჩვენ ხომ უნიჭიერესი ფეხბურთელები გვყავს, რომლებიც ევროპის უძლიერეს ლიგებში გამოდიან. საქმე ისაა, რომ ხორვატიის ნაკრები ორიოდ წელია, რაც არსებობს და ამიტომაც ჯერ ისე მაღალი რეიტინგი არ გვაქვს.

ბოკშიჩის ასეთი მონოლოგის ფონზე ბლაჟევიჩის ნათქვამი ფრიად კონკრეტული და საქმიანი სჩანდა.

— მიუხედავად იმისა, რომ სტუმრად, „უემბლიზე" ვითამაშებთ, მაინც შევუტევთ. ჩვენ ბევრი ნიჭიერი ფორვარდი გვყავს და ასეთ დროს თავდაცვა უბრალოდ უნარისა და შესაძლებლობების ფლანგვა იქნება — თქვა მწვრთნელმა.

ახლა მასპინძელთა ბანაკში გადავიდეთ. ინგლისელებს, რომლებიც 9 ნოემბერს თბილისში გვეწვევიან, ჯერ ჩვენთვის არ სცხელათ. თუმცა ქართველებისთვის უაღრესად საინტერესო თემაზე კი ბჭობენ. ასე იყო ხორვატებთან მატჩის წინაც. კერძოდ, „გლაზგო რეინჯერსის" პოლ გესქოინმა კვლავ მოუწოდა ნაკრების თავკაცს ტერი ვენეიბლზს, ევროპის პირველობის მერე თანამდებობაზე დარჩეს.

„ჩემთვის არ ვამბობ, მომავალ თაობაზე ვზრუნავ. ტერი კიდევ 5 ან 10 წელი უნდა იყოს ინგლისის მწვრთნელი — თქვა გესქოინმა, რომელიც ვენეიბლზის ხელმძღვანელობით ადრე, „ტოტენჰემშიც" თამაშობდა. — როცა ვარჯიშზე ტერი რამეს ამბობს, ყველა დგას და სულგანაბული უსმენს. უმენენ არა მარტო ფეხბურთელები, არამედ თვით ბრაიან რობსონი და დან ჰოუც.

მოთამაშეებსაც ძლიერ სურთ ვენეიბლზის დარჩენა. მე პირადად მასთან ჯერ არ მილაპარაკია, ისიც ვიცი რომ უცნაური ხასიათის, თავისნათქვამა კაცია, მაგრამ ვგონებ ნაკრებს არ მიატოვებს".

ვენეიბლზმა იანვარში თქვა, ევროპის ჩემპიონატის შემდეგ სამსახურიდან წავალო, მაგრამ ამ ბოლო დროს სხვა ხმები დაირხა. ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის აღმასრულებელმა გრემ კელიმაც ჩააქარაგმა, შესაძლოა მწვრთნელმა გადაწყვეტილება შეცვალოსო, თუმცა თავად ვენეიბლზმა უდრტვინველად განაცხადა, ჩემი პოზიცია არ შეცვლილაო. არადა დაგვეთანხმებით, ჩვენთვის, ქართველებისთვის უმნიშვნელო სულაც არ არის, როდის და რა ვითარებაში შეიცვლება ჩვენი მეტოქის მხედართმთავარი, ან საერთოდ შეიცვლება თუ არა.

ოთხშაბათს კი, მართალია თავისი 718-ე მატჩი ინგლისი ნაკრებმა ხორვატებთან ფრედ 0:0 დაასრულა, მაგრამ ქომაგებისთვის უკმაყოფილების საბაბი არ მიუცია. შეხვედრა საინტერესო და შინაარსიანი გამოდგა, ხოლო ვენეიბლზმა ერთხელაც დაამტკიცა, რომ ალბიონისთვის არატრადიციულად მოაზროვნე მწვრთნელია. მასპინძლებმა ფრიად ორიგინალურად ითამაშეს და ისეთ ტაქტიკურ სვლებს მიმართეს, დოგმატიკოს ინგლისელებს თმებს ყალყზე რომ დაუყენებდა. მრავლად იყო კომბინაციათა არაინგლისური გაგრძელებანი — იქაური ნორმების დარღვევა.

დაცვაში რაიტმა და მისმა რაზმა დავორ შუკერი და ალან ბოკშიჩი ზონურად დაიჭირა. სტუმრებმა განაპირა მცველების დუბრაკო პავლიჩიჩის და რობერტ იარნის შეტევაში აქტიურად ჩართვა სცადეს, მაგრამ ვენეიბლზს, ეტყობა, ესეც წინასწარ ჰქონდაც ნავარაუდევი. ინგლისელთა საწინაალმდეგო სვლა სტივ სტოუნისა და სტივ მაკმანამანის მათ ფრთებზე გაწესება იყო. პავლიჩიჩი კმაყოფილი უნდა იყოს, რომ მოედნიდან არ გააძევეს. მან მაკმანამანის წინაალმდეგ უხეშობა სცადა, პოლონელმა მსაჯმა ზბიგნევ პრჟემიცკიმ კი ერთხელ დასაჯა. ერთ ეპიზოდში პირსმა მეკარის ბაქანთან ჩაჰკიდა. მის ხელში ჩასაგდებად ხორვატთა გოლკიპერი მარიან მრიჩი და ტედი შერინგემი აჰტნენ. შერინგემმა წონასწორობის დასაცავად მკლავი ალმართა და მრიჩს შეეხო. ბურთი კი რობი ფაულერს მიუვიდა, რომელმაც იგი კარში შეაგდო. ფაულერი საზეიმოდ შემობრუნდა, მაგრამ ამაოდ. არბიტმა მეკარის წინააღმდეგ უხეშობა აღნიშნა.

ინგლისელებმა გული არ გაიტეხეს. ისინი იმ დღეს იშტაზე იყვნენ და საუკეთესო თვისებებს ავლენდნენ. მომენტებიც ბლომად შექმნეს, ოღონდ ეგაა, გოლად ვერცერთი აქციეს. რაც შეეხება სტუმრებს, მათგან პროსინეჩკი და ბობანი იყვნენ თვალშისაცემი. არაუშავდა შუკერსაც.

საბოლოოდ მატჩი ფრედ დამთავრდა, ოღონდ (თუ ეს ფრაზა კორექტულია) — ინგლისის სასარგებლოდ.

**ბიგა კობახიძე**

## ფეხბურთის რუკასთან

იტალიაში, „იუვენტუსის" ფორვარდს ჯანლუკა ვიალის კლუბთან კონტრაქტის ვადა გაუდის. ახალი, ბოსმანის წესის თანახმად, ვიალი ეგრეთწოდებული თავისუფალი აგენტი ხდება და „იუვე" კი ვერ გაჰყიდის, არამედ სადაც მოესურვება, იქ წავა. ცხადია, მასზე დიდი „ნადირობაა". მისი გადაბირება სურთ შოტლანდიურ „სელტიკსა" და „რეინჯერსს", მშობლიურ „სამპდორიას" კი მონატრებული შვილის დაბრუნება განუზრახავს. ვიალიმ ამ დღეებში განაცხადა, რომ ჯერ არ გადაუწყვეტია სად წავა, ოღონდ დასძინა, რომ ფული მისთვის მეორეხარისხოვანია, მთავარი გულის კარნახი იქნება.

მადრიდის „რეალისკენ" გეზაღებულმა „მილანის" მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ ესპანეთის კლუბთან თავისი მოლაპარაკების შესახებ ოფიციალური განცხადება მომავალი კვირისთვის გადადო.

რომის ოლიმპიურ სტადიონზე 22 მაისს ჩემპიონთა თასის ფინალურ მატჩს „აიაქსსა" და „იუვენტუსს" შორის იმსაჯებს ესპანელი მანუელ დიას ვეგა. 8 მაისს ბრიუსელში, ყოფილ „ეიზელზე", თასების თასის ფინალს „პარი სენ-ჟერმენსა" და ვენის „რაპიდს" შორის იტალიელი პიერლუიჯი პაირეტო წარუძღვება. უეფას თასის ფინალს „ბაიერნსა" და „ბორდოს" შორის პირველ მაისს მიუნხენში შვეიცარიელი სერჟ მუმენტალერი განსჯის, 15-ში კი ბორდოში რეფერი ბელორუსი ვადიმ ჟუკი იქნება.

შოტლანდიაში „გლაზგო რეინჯერსისა" და „მოზერველის" შეხვედრაში, რომელიც გლაზგოელებმა 3:1 მოიგეს, მოედნიდან გააძევეს გუნდის ლიდერი, ინგლისის ნაკრების ნახევარმცველი პოლ გესქოინი. ახლა გაზა, რომლისთვისაც ეს გაძევება სეზონში მესამე იყო (ამას 14 ყვითელი ბარათიც მიამატეთ), შოტლანდიის თასის ფინალს გამოტოვებს. აღშფოთებულმა გესქოინმა მატჩის შემდეგ თქვა, ერთმა პოლიციელმა წინასწარ გამაფრთხილა, რომ ამ თამაშში გამაძევებდნენო.

ბრაზილიის ნაკრები 14 ივლისს აშშ-ში „ჯაიანთ სტედიუმზე" მსოფლიოს ნაკრებს შეხვდება. ამ მატჩის შემოსავალს გადარიცხავენ ფიფას ახალგაზრდათა ფონდში. ცნობილია, რომ ყველა ვარსკვლავთა გუნდში ითამაშებენ რომარიო, კლინსმანი, მათეუსი, ვეა, დესაი, მექსიკელი მეკარე ხორხე კამპოსი, კრასიმირ ბალაკოვი და იაპონელი კაზუ მიურა.

# დიდი ფეხბურთი და დიდი ჩხუბი

## პოლანდია 0:1 გერმანია

გერმანელებისა და ჰოლანდიელების ურთიერთსიყვარულის ამბავი საყოველთაოდ ცნობილია. ოთხშაბათსაც, ამხანაგური მატჩის წინ (ვინ რჯიდათ, რაღა ერთმანეთს ეთამაშებოდნენ) გულშემატკივართა შეჯახების შემდეგ ერთი ჰოლანდიელი და ერთი გერმანელი დანით დაჭრილი ქომაგი საავადმყოფოში გააქანეს. მათი მდ-



ფოგთსი მათეუსის გარეშეც იგებს

გომარეობა კრიტიკული იყო. როტერდამის პოლიციამ ამ ამბების დროს 47 ადამიანი დააპატიმრა, სტადიონზეც ყველა ღონე იხმარა 450 გერმანელისა და მასპინძლების განსაცალკევებლად. ხელკეტიანი და ფარიანი პოლიციელების საგანგებო რაზმს მოსვენება არ ჰქონდა. ამ ფონზე, ტრიბუნებზე დალეწილი სკამები და მატჩის შემდეგ ახლომახლო ქუჩებში ჩამსხვრეული ვიტრინა-ფანჯრები ბავშვურ ანცობად მოსჩანდა. ამაზე არც უღელვიათ, რადგან გაცილებით სერიოზული შედეგების თავიდან ასაცილებლად ირჯებოდნენ. ცხადია, დაკავებულ ხულიგნებს აღრიცხავენ და მათ ვინაობას ინგლისის შესაბამის სამსახურს შეატყობინებენ: დაახლოებით ერთ თვეში ხომ ორივე გუნდი იქ, ევროპის ჩემპიონატზე ჩავა.

თამაშის წინ, სახელმწიფო ჰიმნების შესრულებისას გუნდები ტრადიციულად ცალ-ცალკე კი არ დადგნენ, არამედ შერეულად. ერთი გერმანელი — ერთი ჰოლანდიელი და ა.შ. ეტყობა, ორგანიზატორებს ამ ილეთით ხალხთა შორის მეგობრობის დამყარება სურდათ, მაგრამ იმთავითვე ცხადი იყო, რომ ასეთი ხერხი ისეთივე ყალბი იქნებოდა, როგორც კომუნისტების დროს აღდგომაზე საქართველოს ტელევიზიით გადაცემა „პუნქტუმ კონტრა პუნქტუმ"-ის ჩვენება იყო.

ცხადია, გუნდებმაც იომეს. კაცი ვერ მიხვდებოდა, ამხანაგური მატჩი იყო თუ რაიმეს ფინალი. გერმანელებმა მეტად შეკრულად ითამაშეს. კოლექტივიზმის სულმა ერთთავად დაჩრდილა თვით კლინსმანისა და ჰესლერის ინდივიდუალობაც კი. სამაგიეროდ, ამ სულმა სტუმრებს თამაში მოაგებინა. მასპინძელთა შორის ყურადღების ცენტრში დებიუტანტი ჯორდი კრუიფი იყო. „ბარსელონას" თავდამსხმელი გერმანულმა მანქანამ არ ახეირა. „არსენალის" ბერხკამპს მხოლოდ მონდომების გამო თუ მიაქცევდით ყურადღებას. მართლა კარგად ვიჩხე ირჯებოდა, მაგრამ რატომღაც მეორე ტაიმის შუაში შეცვალეს.

თამაშის ერთადერთი გოლი კლინსმანმა პენალტით გაიტანა. თავხოტორა იტალიელმა მსაჯმა პიერლუიჯი კოლინამ თერთმეტმეტრიანი ბოგარდის მიერ ბირჰოფის წაქცევისათვის დანიშნა. ცოტა ხანში პენალტი მეორე კართანაც დაინიშნა. ჰუქსტრას და როიტერის ბღლარძუნი კოლინამ წესის დარღვევად შეაფასა. კოპკემ ბერხკამპს პენალტიც აუღო და დამატებულიც.

## ჩეხეთი 2:0 ირლანდია

პრაღაში მასპინძლებმა მარტინ ფრიდეკის და პაველ კუკას გოლებით გაიმარჯვეს. ბრიტანელთა ახალმა მწვრთნელმა მიკ მაკარტიმ, რომლის ხელმძღვანელობითაც გუნდმა ორივე შეხვედრა წააგო, თამაშის მერე იხტიბარი არ გაიტეხა.

— პირველ ტაიმში ნამდვილად კარგად ვითამაშეთ. უკეთესი მომენტები ჩვენი იყო. სამწუხაროდ, დაცვაში დაშვებული შეცდომა პირველ გოლად დაგვიჯდა. გაშვებულმა ბურთმა ფორმიდან ამოგვაგდო, ამას კი მეორეს გაშვებაც მოჰყვა. ასეთ თამაშში, თუ მომენტი შექმენი, უნდა გაიტანო, წინააღმდეგ შემთხვევაში დაისჯები. სწორედ ეს მოხდა დღეს.

ირლანდიელებს სამი ახალწვეული ჰყავდათ: კენ კანინგემი, ალან მური და კერტის ფლემინგი.

— ვფიქრობ, კანინგემმა დიდებულად ითამაშა, კარგი იყო მურიც, — შეაფასა მათი გამოსვლა მწვრთნელმა, რომელიც „კრისტალ პალასის" რეი ჰაფტონითაც ფრიად კმაყოფილი დარჩა, — რეი საუცხოო იყო. მერე რა, რომ 33 წლისაა. იგი კვლავ უმნიშვნელოვანესი მოთამაშეა ჩვენს გუნდში.

სადაო შეიქნა პირველი გოლი. რვა ირლანდიელი თამაშგარეს მოწყობას ცდილობდა, მაგრამ ვერ მოახერხა, ან მოახერხა, მაგრამ რეფერი შეცდა.

— მეორე გოლი ფილ ბების უხეში შეცდომის გამო გავუშვით, — თქვა მაკარტიმ, — იგი ფეხბურთელის ნაცვლად ბურთს გაედევნა.

## დანია 2:0 შოტლანდია

ძმების, ლაუდრუპების გატანილი გოლებით დანიამ მოიგო, შოტლანდიამ კი ბოლო 11 თამაშში მეორედ წააგო. პირველი მე-7 წუთზე გავიდა. მარჯვენა ფრთაზე შეცდომა დაუშვა ჰენდრიმ, ბურთი ბეკმა ჩაიგდო, რომელმაც მიქაელ ლაუდრუპს გაუწია ასისტენტობა. ეს გოლი მადრიდის „რეალის" გამთამაშებლისათვის ნაკრებში ჩატარებული 87 შეხვედრაში 35-ე იყო. მე-15 წუთზე კინაღამ გაიზარდა ანგარიში. ბეკს შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ შოტლანდიისა და „ჰიბერნიანის" გოლკიპერმა ლეიტონმა დიდებულად ითამაშა. 23-ზე სტუმრებს მიეცათ შანსი: სპენსერმა გალაჰერს მიაწოდა, მაგრამ დარტყმა პეტერ შმაიხელმა მოიგერია. ერთ წუთში კვლავ ბრიტანელთა მეკარეს მოუწია თავის გამოჩენა, როცა ლარს ოლსენმა თითო შეხებით გაითამაშა ბრიან ლაუდრუპთან. 27-ე წუთზე მაინც გავიდა მეორე გოლი. მიქაელ ლაუდრუპმა ძმა, ბრიანი კარგი პასით კარგ პოზიციაში გაიყვანა და უმცროსმაც უფროსს ამაგი დაუფასა.

მომენტები მეორე ტაიმშიც იყო, მაგრამ მათ გოლი არ მოჰყოლიათ.

## ჩრდ. ირლანდია 1:2 შვედეთი

ბელფასტის „უინძორ პარკზე" ჩრდილო ირლანდიამ შვედეთის წინააღმდეგ ვერაფერი გააწყო. ჯერარდ მაკმაჰონის გვიანმა გოლმა ანგარიში მისი გუნდისთვის უფრო ღირსეული გახადა, თორემ ისე ბრაიან ჰამილტონის ქვეშევრდომებმა პირწმინდად წააგეს. სტუმართაგან მთავარი მოქმედი პირი მიონხენგლადბახის „ბორუსიას" ფორვარდი მარტინ დალინი იყო, რომელმაც ერთი გოლი გაიტანა და მცველთა — კოლინ ჰილისა და ბერი ჰანტერის დუეტი მთელი მატჩის განმავლობაში დატანჯა. დალინმა შვედები მე-20 წუთზე დააწინაურა. „შეფილდ უენსდეის" ყოფილმა მოთამაშემ როლანდ ნილსონმა იონას ტერნი მარჯვენა ფრთაზე კარგად გაიყვანა და როდესაც „რომას" ნახევარმცველმა ბურთი კარის გასწვრივ უკან დააგორა, დალინი მას ჩასაფრებული დახვდა — 1:0. დალინს პირველ ტაიმში ჰეთ-თრიქის შესრულებაც კი შეეძლო, მაგრამ ერთ შემთხვევაში ჰანტერმა შეუშალა ხელი, მეორეჯერ კი თაურის შემდეგ ბურთი ბადეს გარედან მოხვდა. თამაშის ბედი საბოლოოდ 58-ე წუთზე გადაწყდა, როდესაც „ბარის" თავდამსხმელმა კლას ინგესონმა მშვენიერი გოლი შეაგდო. მიიღო რა ტერნის მოკლე პასი, მან ორ მეტოქეს ჩაუქროლა და ზუსტად დაარტყა.

მაკმაჰონმა 84-ე წუთზე სხვაობა შეამცირა. ივი იმ დღის ისე ინდომებდა, რომ ამას ნამდვილად იმსახურებდა. „მანჩესტერ სიტის" ნახევარმცველმა სტივ ლომასმა მარჯვენა ფრთიდან ჩაჰკიდა, „ტოტენჰემის" ახალგაზრდა თავდამსხმელმა კი თაურით ნაკრებში თავისი მეორე გოლი შეაგდო.

თამაშს 5 666 მაყურებელი ესწრებოდა.

## შვეიცარია 2:0 უელსი

პორტუგალიელმა მწვრთნელმა არტურ ჟორჟემ, შვეიცარიელებს რომ უდგას სათავეში, „სტადიო კორნარედოზე" პირველი გამარჯვება მოიპოვა. ბობი გოლდის გუნდში კი ხუთი დებიუტანტი იყო.

პირველი გოლი „ბლექბერნის" კრის ქოულმენმა 32-ე წუთზე საკუთარ კარში გაიტანა. საქმე ასე იყო: ჯარიმა შტეფან შაპუიზამ დაარტყა, ქოულმენი იოჰან ვეგას აუხტა, მაგრამ ნაცვლად მდგომარეობის განმუხტვისა, თავით ბურთი დებიუტანტი მეკარის დენი კოინის კარში შეაგდო. კოინი, რომელმაც უელსელთა კარი ცნობილი ნევილ საუთჰოლისგან გადაიბარა, კარგად თამაშობდა, მაგრამ 36-ე წუთზე კიდევ ერთხელ დარჩა გულდაწყვეტილი — მის კარში პენალტი დაინიშნა, რომელიც ქუბილაი თურქილმაზს კინაღამ აუღო.

თამაშში 13 შეცვლა მოხდა, აქედან 6 გოლდისა იყო. ამგვარად, უელსელთა მწვრთნელს ახლა უკვე 34 ფეხბურთელი ჰყავს გამოცდილი.

თამაშის შემდეგ საუთჰოლმა, შვეიცარიას მწვრთნელად რომ იყო წასული, ჟურნალისტებს განუცხადა: „ბედნიერი ვარ მეკარის კარგი თამაშით. მომეწონა რობი სევეიჯი, ჯონ რობინსონი და ენდი ლეგი, მაგრამ თვალში მეცა, რომ ბიჭები არაბრიტანულ ფეხბურთს შეჩვეულნი არ არიან."

## ნორვეგია 0:0 ესპანეთი

ეს შეხვედრა იმით იყო აღსანიშნავი, რომ ესპანელთა გუნდში შეცვლაზე შევიდა „ატლეტიკოს" მეკარე მოლინა, რომელმაც... თავდამსხმელად ითამაშა. მოლინა მოედანზე მე-13 ნომრით იყო და ურიგოდ



„ატლეტიკოს" მეკარე მოლინა კლუბში თამაშისას ხშირად ტოვებს საჯარიმოს, ნაკრებში კი მთლად აიშვა და თავდამსხმელად ითამაშა

არ უთამაშია. მეორე ტაიმში ესპანელთა ლამის ერთადერთი მომენტი სწორედ მან შექმნა.

სლოვაკეთი 0:0 ბულგარეთი

ბოსნია 0:0 ალბანეთი

ესტონეთი 0:3 ისლანდია

ბელგია 0:0 რუსეთი

უნგრეთი 0:2 ავსტრია

სამხ. აფრიკა 2:3 ბრაზილია

ჩილე 3:0 ავსტრალია

**თქვენთვის, ფეხბურთის გულშემატკივრებო!**

ფირმა „იბერია-65" გაძლევთ უნიკალურ შანსს დაესწროთ ევროპის ჩემპიონატს ფეხბურთში ინგლისში 8 ივნისიდან 1 ივლისის ჩათვლით. იჩქარეთ, ადგილების რაოდენობა შეზღუდულია. საბუთების მიღება სასწრაფოა.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ:
ფირმა „იბერია-65"-ის ოფისში.
მისამართი: ფურცელაძის ქ. №6
(კ-თ „რუსთაველის" უკან).
ტელ. 93-12-68

EURO 96 England

## მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

FRANCE 98

### საბერძნეთი 2:0 სლოვენია

საბერძნეთი: ატმაძიდისი, აპოსტოლაკისი, კასაპისი, უზუნიდისი, კალიცაკისი, კოსტანტინისი (ალექსანდრისი 46), ზაგორაკისი, ვრიზასი, ბატისტა, ცარტასი (ფრანცეკოსი 82), დონისი (ნიკოლაიდისი 61)

სლოვენია: ბოსკოვიჩი, გალიჩი, ენგლარო, მილნიჩი, იერმანისი, ბეპი, ნოვაკი, ზიდანი (გაისერი 36), უდოვიჩი (გლიპა 70), ზაპოვიჩი, ფლორიანჩიჩი

საბერძნეთი მსოფლიოს პირველობის ფინალურ ეტაპზე ერთადერთხელ, 1994 წელს იყო. მაშინ ბერძნებმა შესარჩევი ტურნირი დიდებულად, წაუგებლად გაიარეს, თუმცა ამერიკაში ყველა წააგეს, თან ვერც გოლის შეგდება შესძლეს. ოთხშაბათს მათ ახალი შესარჩევი ციკლი მოგებით დაიწყეს. პირველი გოლი მეორე ტაიმის მე-11 წუთზე გაიტანეს. მარჯვნიდან ალექსის ალექსანდრისმა ჩააწოდა, საჯარიმოში კი ასე, 12 მეტრიდან დანიელ ბატისტამ, რომელიც წარმოშობით სპილოს ძვლის ნაპირიდანაა, ეფექტურად შეაგდო. ამ ამბიდან ათი წუთის შემდეგ შეცვლაზე შესულმა დემის ნიკოლაიდისმა სოლო გარბენი ცაციით გატანილი გოლით დაასრულა. ისე არ იფიქროთ, რომ გუნდები ცალკარას თამაშობდნენ. 52-ე წუთზე დამიან გაისერმა ახლოდან ააცილა, ხოლო ერთ წუთში ილიას ატმაძიდისთან პირისპირ შესულმა საშო უდოვიჩმა ვერ ივარგა. თამაშის ბოლო 10 წუთი გიჟური იყო. დარკო მილანიჩმა 12 მეტრიდან კინაღამ ბერძენთა ხარიხა ჩამოაგდო, ნიკოლაიდისმა კი სამჯერ ახლოდან ვერ ივარგა.

— კარგი სტარტი გამოვიდა, მაგრამ ნამდვილი სიძნელეები ჯერ წინ გველის — თქვა ბერძნების მწვრთნელმა კოსტას პოლიქრონიუმ, რომელსაც მთავარ კონკურენტებად ხორვატია და დანია მიაჩნია.

### იუგოსლავია 3:1 ფარერები

იუგოსლავია: კოჩიჩი, ჩურჩიჩი (მირკოვიჩი 75), დიოროვიჩი, იოკანოვიჩი, ბრნოვიჩი, მიხაილოვიჩი (პანტიჩი 40), იუგოვიჩი, სავიჩევიჩი, მიატოვიჩი, სტოიკოვიჩი, მილოშევიჩი (ნადი 86)

ოთხ წელზე მეტი დისკვალიფიკაცია დასრულდა და იუგოსლავიამ ფარერები დაამარცხა 20 ათასი ქომაგის თვალწინ. მესამე წუთზე „მილანის" ცნობილმა მოთამაშემ დეიან სავიჩევიჩმა ანგარიში გახსნა, 30-ე წუთზე მეორეც შეაგდო, „ასტონ ვილას" სავო მილოშევიჩმა 38-ზე მესამე გაიტანა, მეორე ტაიმის მე-9 წუთზე კი იონ პეტერსენმა სხვაობა შეამცირა.

იუგოსლავია და ფარერის კუნძულები ე, 1992 წლის ევროპის ჩემპიონატის შარჩევ ჯგუფშიც შეხვედრიან ერთმანეთს. მაშინ იუგებმა ორივე შეხვედრაში დაამარცხეს სუსტი მეტოქე (7:0 და 2:0). ეს სწორედ ის წელია, ბოლო წამს სერბებს პოლიტიკის გამო შვედეთში ფინალზე ჩასვლა და თამაში რომ აუკრძალეს.

ოთხშაბათს კი სავიჩევიჩმა პირველი მილოშევიჩის პასით, თავით შეაგდო. მეორედ პრედრაგ მიატოვიჩის („ვალენსია") დარტყმულს და კნუდსენის მოგერიებულს დაამატა. ამ ეპიზოდში კარგად ითამაშა მიატოვიჩმა, ბურთი თავისი ნახევრიდან წაიღო და გრძელი დრიბლინგის შემდეგ გაისროლა. მესამე, როგორც ვახსენეთ, მილოშევიჩისა იყო, ერთადერთი საპასუხო კი პეტერსენმა მარჯვნიდან ჩაწოდებულის შეუჩერებლივ დარტყმით შეაგდო.

### მაკედონია 3:0 ლიხტენშტეინი

მაკედონია: ჩელესკი, ბაბუნსკი, მარკოვსკი (ნიკოლოვსკი 60), იოვანოვსკი, სტოიკოვსკი, მილოშევსკი, მილოსლავოვი, გოსევი (ზაპარევსკი 75), ჩირიჩი, ბოხკოვსკი, პრისტოვი (ნაუმოვსკი 71)

გოლი: მილოშევსკი (5), ბაბუნსკი (48), ზაპარევსკი (80)

ლიხტენშტეინს მომენტი არ ჰქონია. მასპინძლებმა კი პირველი მეხუთე წუთზევე შეაგდეს, მეორე მცველმა ბობან ბაბუნსკიმ პენალტით გაიტანა, მესამე კი მოედანზე შესვლიდან ხუთი წუთის შემდეგ სრდიან ზაპარევსკიმ დაამატა.

### არგენტინა 3:1 ბოლივია

არგენტინა: პასეტი, ძანეტი, აიალა, სენსინი, შამოტი, სიმეონე, ალმეიდა, ორტეგა, მორალესი, კანიჯა (ბალბო 72), ბატისტუტა (ლოპესი 87)

ბოლივია: ბარერო, რიმბა, პენა, პარაბა, ო. სანჩესი, რამოსი (ი. კასტილიო 80), კოიმბრა (პანიგუა 77), ტუფინო, ბალდევიეზო, ეჩევერი (ხ. სანჩესი 78), რ. კასტილიო

გოლი: ორტეგა (8, 19), ბალდივიეზო (42), ბატისტუტა (49)

ბუენოს-აირესში, მეტოქეზე ფიზიკურად საგრძნობლად უკეთ მომზადებულმა არგენტინამ ბოლივიას სიქა გააცალა. არადა ბოლივიაში იმ დღეს კონგრესმაც ადრე შეწყვიტა მუშაობა — მთელს ქვეყანას ამ მატჩის ნახვა უნდოდა.

დავიწყოთ მესამე გოლით, გაბრიელ ბატისტუტამ რომ შეაგდო. ეს მისი 34-ე გოლი გახლდათ არგენტინის ნაკრებში და ამით იგი მარადონას დაეწია. არადა, ეს ბურთი იღბალმა უფრო შეაგდო, ვიდრე „ბატიგოლმა": ეჩევერი არტყამდა, ბურთი გაბრიელს მოხვდა და კარში ისე შევარდა.

არგენტინამ ტალახიან მოედანზე თავიდანვე შეუტია და ეს დაჟინება მე-8 წუთზე დაუფასდა. სიმეონეს დარტყმული მეკარე მარკო ბარერომ მოიგერია, მაგრამ ბურთი ორტეგასკენ გაფრინდა, რომელმაც თაურით ანგარიში გახსნა. მეორედაც ასეთი რამ მოხდა: ბატისტუტამ დაარტყა, ბარერომ კვლავ ორტეგასკენ მოიგერია — 2:0.

მასპინძლები მთელი თამაშის განმავლობაში დომინირებდნენ, მომენტებიც ბლომად ჰქონდათ, თუმცა სამზე მეტი ვერ შეაგდეს. აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ჩემპიონატის მერე არგენტინაში კვლავ გამოჩნდა კლაუდიო კანიჯა. მან მშვენივრად ითამაშა. კანიჯას გარდა ორტეგასა და უგო მორალესის თამაში გამოყოფენ.

### ვენესუელა 0:2 ურუგვაი

ურუგვაი: არბისა, ოლივერა, ერერა, მოასი, მონტერო, სარალეგი, გუტიერესი, ბუნგოეჩეა (აბეიხონი 90), პოიეტი, ოტერო (სედრესი 87), ფონსეკა

გოლი: ოტერო (54), პოიეტი (71)

თამაშის დამთავრებამდე სამი წუთი რჩებოდა, მსაჯმა ურუგვაელთა შეტევისას ოფსაიდი რომ აღნიშნა. მიუხედავად სასტვენისა, დანიელ ფონსეკამ, რომელიც „რომაში" თამაშობს, ბურთს ფეხი ჰკრა და მასპინძელთა კარში შეაგდო. ფონსეკას პირველ ტაიმში ყვითელი ბარათი უკვე ჰქონდა მიღებული, ამიტომაც ამ ეპიზოდში იგი მოედნიდან გააძევეს. ამ დროისთვის მატჩის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. სტუმრები 2:0-ს იგებდნენ. ვენესუელა პირველ ტაიმში უკეთ ირჯებოდა. მეორეში კი ოტერომ შორიდან დარტყმით გოლი რომ გაიტანა, ურუგვაი გალაღდა. იშტაზე მოსულმა პოიეტმა მეორეც დააყოლა და ასე გაიმარჯვა მატჩში, რომელსაც პერუელი ალბერტო ტეხადა სჯიდა, „კოპა ამერიკაზე" ბრაზილია-არგენტინის შეხვედრაში დაშვებული შეცდომის გამო აქამდე დისკვალიფიცირებული რომ იყო.

### კოლუმბია 1:0 პარაგვაი

### ეკვადორი 4:1 პერუ


საფეხბურთო ტოტალიზატორი

## ლაკლას-ტოტო

მატჩების სია — ტირაჟი № 28 (27-29 აპრილი)

| | |
|---|---|
| 1 მილანი — ფიორენტინა | იტალიის ჩემპიონატი |
| 2 რომა — იუვენტუსი | იტალიის ჩემპიონატი |
| 3 ვიჩენცა — პარმა | იტალიის ჩემპიონატი |
| 4 ნაპოლი — სამპდორია | იტალიის ჩემპიონატი |
| 5 ატლეტიკო — ვალენსია | ესპანეთის ჩემპიონატი |
| 6 სპორტინგი — ბარსელონა | ესპანეთის ჩემპიონატი |
| 7 სელტა — რეალი | ესპანეთის ჩემპიონატი |

№27 ტირაჟის შედეგები

1. 1-1 2. 1-2 3. 3-1 4. 4-1 5. 1-3 6. 2-4 7. 1-2

მოგებები: ხუთი, ექვსი და შვიდი მატჩის ანგარიში ვერავინ გამოიცნო.
JACK POT — შესაბამისად 150, 605 და 985 ლარი გადადის შემდეგ ტირაჟში.
ბილეთები იყიდება მეტროს სადგურებთან (ში): დელისი, პოლიტექნიკური, ახმეტელი, სამგორი. ბილეთების (2 ვარიანტი) ფასი 30 თეთრი.
მოგება გაიცემა მისამართზე: ხეთაგუროვის 2, მესამე სართ. ფირმა „ესკიზი" (11.00-დან 14.00 სთ-მდე). თან იქონიეთ პასპორტი.




## მარტო ლიცენზია რა ბედენაა ?!

ბორჯომში, სადაც საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები შეკრებას გადის, პერცოგენზოსის ტურნირის ვიდეოფირი ჩამოიტანეს. ძირითადად ვლადიმერ დგებუაძის შერკინებები იყო ჩაწერილი. რომ არ მცოდნოდა, რომ ეს ტურნირი ორიოდ კვირის წინ გაიმართა, ვიფიქრებდი — ვიღაცას ძიუდოს სასწავლო კასეტა შეუდგენია და შიგ საუკეთესო ფანდები შეუტანია-მეთქი. ლადოს ჭიდაობა ამის თქმის საფუძველს იძლეოდა.

სამი-ოთხი წლის წინ ეს იქნებ არავის გაჰკვირვებოდა, მაგრამ დღეს, როცა დგებუაძეს ტატამთან სამწლიანი განშორების შემდეგ თვენახევრის დაწყებული აქვს ვარჯიში, მისი ჭიდაობის სტილი და მრავალფეროვნება გაკვირვებასა და აღტაცებას იწვევს. ისიც გამახსენდა, ბარსელონის ოლიმპიადის წინ რომ უთხრა მას გაერთიანებული გუნდის მთავარმა მწვრთნელმა გენადი კაპლინმა: „ვიცი, ოლიმპიადაზე შენს გარდა მედალს ვერავინ აიღებს, მაგრამ გუნდში მაინც ვერ დაგაყენებ. ეს საკითხი იმ დონეზე წყდება, სადაც ჩემი სიტყვა არაფერს ნიშნავს".

ატლანტის ოლიმპიადაზე ლადოს გამოსვლას უკვე ვერავინ და ვერაფერი შეაჩერებს. მას ლიცენზია მოპოვებული აქვს, რასაც ოფიციალურად მაისის ბოლოს, ევროპის ჩემპიონატის შემდეგ გამოაცხადებენ. სწორედ ამ შეჯიბრებებისთვის ემზადება ლადო ბორჯომში და ვარჯიშებით გადატვირთული მხოლოდ დღის ბოლოს გამესაუბრა.

**— ძალიან შეიცვალა მდგომარეობა თქვენს, 71 კგ წონაში?**

— პრაქტიკულად იგივე ხალხია, ვინც ჩემს წასვლამდე ჭიდაობდა. შეიძლება ითქვას, რომ ეს წონა დღემდე მათ მოეჭახეს. ერთი-ორი ახალი ბიჭიცაა. თვითონ ძიუდოს ცვლილება არ განუცდია, დააახლოებით ისეთივე დარჩა. ერთია, მსაჯობა უფრო გამკაცრებულია, თითქმის ყველაფერზე გაფრთხილებენ.

**— ტატამთან ხელახალი შეგუება არ გაგიჭირდათ?**

— გამიჭირდა იმ მხრივ, რომ უვარჯიშებელი ვიყავი. ხან სუნთქვა არ მყოფნიდა, ხან — ძალა. ცოტა გამიმართლა — თავიდან შერკინებები დიდხანს არ მიგრძელდებოდა, მთელი ხუთი წუთი ტატამზე ყოფნა არ მიწევდა. პირველ ტურნირზე, მგონი, ხუთი წუთი საერთოდ არ მიჭიდავია — ოთხჯერ წმინდად მოვიგე, ერთხელაც — ასევე დავმარცხდი.

**— დარწმუნებული იყავით, ლიცენზიას რომ მოიპოვებდით?**

— ძიუდოში დაბრუნების დღიდან ამის თაობაზე ორი აზრიც არ მქონია. მართალია, სამი წელიწადი არ მივარჯიშია, მაგრამ წინ ხუთი ტურნირი მქონდა. ისეთი რა უნდა მომსვლოდა, ან ამისთანა ვინ უნდა შემხვედროდა, საჭირო ქულები რომ ვერ დამეგროვებინა. მართალი გითხრათ, ჭიდაობის დროს ლიცენზიაზე არც კი ვფიქრობდი — ტატამზე რომ ხარ, პირველ რიგში შეხვედრის მოგებაზე უნდა იფიქრო. ტურნირებს შორის მომზადების პერიოდში კი ლიცენზიაზე ფიქრი ფსიქოლოგიურ ტვირთად მაწვებოდა. სხვა საქმე იქნება ევროპის ჩემპიონატი და ოლიმპიადა — იქ მეცოდინება, რომ ყველა შეხვედრა უნდა მოვიგო და სხვა არაფერი.

**— როგორ ფიქრობთ, ბევრი გაკლიათ ჩვეულ, დავუშვათ, 1991 წლის დონემდე?**

— 1991 წლის დონეზე ნამდვილად არა ვარ. ვვარჯიშობ და ჩვეულ ფორმაშიც ნელ-ნელა ჩავდგები. ვფიქრობ, ფორმის პიკში ოლიმპიური თამაშებისთვის ვიქნები. ჩემი მდგომარეობის გათვალისწინებით, ალბათ ასე იქნება. გამორიცხული არ არის, რომ ევროპაზეც კარგი შედეგი მქონდეს, მაგრამ არა მგონია, მაქსიმუმს ოლიმპიადამდე მივაღწიო.

**— თქვენი მომავალი მეტოქეები როგორ მდგომარეობაში არიან?**

— ევროპაში ვინც კი რაღაცას წარმოადგენს, თითქმის ყველასთან მიჭიდავია — არაფერი განსაკუთრებული. არ შევხვედრივარ მხოლოდ იტალიელ ბრამბილას, ვინც მსოფლიოს ჩემპიონატზე მესამე ადგილი დაიკავა. ესპანელი რუისი, რომელმაც 1991 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში მომიგო, აღარ ჭიდაობს. იაპონელი ტაშეპიკო კოგამ წონაში მოიმატა და 78 კგ-ში გადავიდა. შარშან ჩემს წონაში მსოფლიო ჩემპიონატი იაპონელ დასუკე ჰიდეშიმას მოუგია. მე მისი ჭიდაობა არ მინახავს, ისე კი, ამბობენ, მაგარიაო. თუ არ ვცდები, ეგ ბიჭი მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატიდან უნდა მახსოვდეს. კორეელსაც აქებდნენ, თუმცა არც მისი გამოსვლა მინახავს. ოლიმპიადამდე კიდევ დროა. მალე ვიდეოკასეტები ჩამოგვივა — იქ გამოჩნდება, ვინ როგორ ჭიდაობს, ვის როგორი დგომი აქვს...

**— ისე, თქვენი გამოჩენა 71 კგ-ის ძიუდოისტებს ალბათ, არ ესიამოვნებოდათ...**

— აბა რა გითხრათ... შეიძლება ასეც იყო. ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის არავის არაფერი უთქვამს, ან კი რა უნდა ეთქვათ?

**— გატყობთ, ძირითადი ყურადღება ოლიმპიადაზე გაქვთ გადატანილი. ევროპის ჩემპიონატს მისთვის მოსამზადებელ ეტაპად თვლით?**

— არა. ევროპაზე ყველა შეხვედრა უნდა მოვიგო — ასეთი განწყობით მივდივარ. გამოვა — ხომ კარგი, არ გამოვა — ოლიმპიადამდე დრო კიდევ იქნება და ფორმის ბოლომდე დაბრუნებისთვის თავს არ დავზოგავ. თუ მეყო ჟინი და ჯანი, არც ოლიმპიადაზე წავალ მხოლოდ მონაწილეობის მისაღებად.

**— მოკლედ, განწყობა ამაღლებული გაქვთ...**

— უფრო სწორედ — საბრძოლო. კაცმა არ იცის, რა მოხდება ან ერთ, ან მეორე შეჯიბრებაზე. მოგეხსენებათ, ძიუდო ისეთი სპორტია, სადაც წამის მეასედშიც კი შეიძლება წმინდად დამარცხდე და ყველაფერი დაკარგო. დიდი მნიშვნელობა ექნება იმას, თუ როგორ ამეწყობა შერკინებები. თუმცა, მე ჩემს პრინციპს არ გადავუხვევ — კონკრეტულ შეხვედრაზე მხოლოდ მოსაგებად გავალ, გნებავთ — ევროპაზე, გნებავთ — ოლიმპიადაზე.

მერაბ რატიშვილი

### ტანვარჯიში

## დანიაში, ევროპის ნაღდ ჩემპიონატზე

ატლანტის ოლიმპიადაზე წამსვლელ ქართველ სპორტსმენთა რიცხვმა უკვე 30-ს გადააჭარბა. მათ შორის 18 წლის ტანმოვარჯიშე ილია გიორგაძეცაა, რომელმაც ოლიმპიადის ლიცენზია შარშან ამერიკის ღია ჩემპიონატზე მოიპოვა. ახლახან ილია მოსკოვში ასპარეზობდა მეტად პრესტიჟულ ტურნირზე — „მსოფლიო ვარსკვლავები". თავისუფალ ვარჯიშში მან II ადგილი მოიპოვა (9,675 ქულა), ტაიჭზე და ორძელზე კი მესამე იყო (შესაბამისად 9,4 და 9,5 ქულა). საერთო ჯამში ქართველი სპორტსმენი მესამე ადგილზე გავიდა 55,875 ქულით, მას რუსებმა ნემოვმა (58,0) და ვოროპაევმა (57,6) აჯობეს.

6-დან 12 მაისამდე დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენში გაიმართება ევროპის 22-ე ჩემპიონატი ტანვარჯიშში. საქართველოდან ჩემპიონატში მხოლოდ ილია გიორგაძე მიიღებს მონაწილეობას. ახალგაზრდა სპორტსმენი კარგა ხანია ემზადება ამ შეჯიბრებისთვის, და ეს ფაქტიურად მისი უკანასკნელი რეპეტიცია იქნება ატლანტის ოლიმპიადისათვის. კოპენჰაგენში ის სპორტსმენები გამოვლენ, რომელთაც უკვე მოპოვებული აქვს ოლიმპიადის ლიცენზიები, ამიტომ აქ ნაღდი ბრძოლები გაჩაღდება და „ჩაწყობები", მოჭიდავეთა და მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატებზე რომ ჰქონდა ადგილი, აღარ განმეორდება. ილია გიორგაძის მწვრთნელი ნიკოლოზ ჭანტურიაა, რომელიც დანიაში მასთან ერთად გაემგზავრება. დელეგაციას საქართველოს ტანვარჯიშის ფედერაციის პრეზიდენტი ომარ ღონღაძე უხელმძღვანელებს, რომელიც ამავდროულად ევროპის ჩემპიონატზე იმსაჯებს კიდეც. გიორგაძის მეტოქენი ძირითადად ზემოთხსენებული ნემოვი და ვოროპაევი იქნებიან.

ვნახოთ, შეძლებს თუ არა ილია გიორგაძე ლადო გოგოლაძის გზის ღირსეულად გაგრძელებას და ოლიმპიადიდან მედლით დაბრუნებას...

მამუკა კვარაცხელია

საქართველოს XXIX პირველობა

22 აპრილი

ფყონდიდლის დასახლება

### აზოტი (10) 10-10 (0) გელათი

აზოტი — 2ლ: 13 კობალაძე, 6 კბილცეცხლაშვილი

გელათი — ლ: 3 სვანაძე; გ და ს: 10 ქიმუცაძე

მსაჯი ნოდარ რობიტაშვილი

ვაკე. ნაწვიმარი

### ქორები (3) 9-11 (6) ყოჩები

ქორები: ნეველიძე; ქავთარაშვილი, ალანია, ჩხენკელი, სიხარულიძე; ჩავლეიშვილი, კვინიხიძე; მაჭუტაძე, ჯაფარაშვილი, ცქიტიშვილი; ხუადე (გააძევეს), ლიბრაძე; კახიანი (გ. გიუნაშვილი), კობახიძე, კაცაძე. — ა: ჩავლეიშვილი (3:0); 2ს: ნეველიძე (6:6, 9:6)

ყოჩები: ენუქიძე; ლიპარტელიანი, საკანდელიძე, ბარძიმიშვილი, წიკლაური; ტეფნაძე, გიორხელიძე; ჩიქავა (გააძევეს), ჩიქოვანი (ფირიაშვილი), ახვლედიანი (ი. ჭელიძე); გუშარაშვილი (გაგნიძე), სულთანიშვილი; ზ. ლეჟავა (ცხვედიანი), ურუშაძე, ტყეშელაშვილი. — ა: ტეფნაძე (3:3); ს: ბარძიმიშვილი (3:6); ლ: ტყეშელაშვილი (9:11)

მსაჯი დიმიტრი ფულარია (ქუთაისი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| გუმარი | 2 | 2 | 0 | 0 | 142: 6 | 23- 0 | 4 |
| ყოჩები | 2 | 2 | 0 | 0 | 66: 12 | 10- 0 | 4 |
| აია | 2 | 2 | 0 | 0 | 30: 6 | 3- 0 | 4 |
| აზოტი | 2 | 1 | 1 | 0 | 20: 13 | 3- 1 | 3 |
| გელათი | 2 | 0 | 1 | 1 | 16: 59 | 1-10 | 1 |
| ქორები | 2 | 0 | 0 | 2 | 9: 25 | 0- 2 | 0 |
| ლელო | 2 | 0 | 0 | 2 | 9: 26 | 0- 3 | 0 |
| დინამო | 2 | 0 | 0 | 2 | 3:148 | 0-24 | 0 |

მესამე ტური

დღეს, ვაკეში, 4 საათიდან: ჯერ ყოჩები — ლელო, მერე გუმარი — ქორები. ხვალ, ქუთაისში: აია — აზოტი, გელათი — დინამო

## დასჯიან

ამთავითვე ვიტყვი, „ქორებისა" და „ყოჩების" თამაში საპატიო მიზეზის გამო არ მინახავს, მაგრამ ამბავი დამსწრეებს დაწვრილებით გამოვკითხე და რაგბის კავშირშიც დავესწარი „ქორების" პროტესტის ოთხსაათიან გარჩევას.

მომხდარა კი აი რა: ვითარება დაძაბულა დასკვნით 10-15 წუთში, „ქორები" 9:6 რომ იგებდნენ. ჩავლეიშვილისა და ალანიას გარღვევის შემდეგ გიუნაშვილს თითქოს ლელო გაუტანია, მაგრამ მსაჯს მიუჩნევია, „ქორებმა" ხაზს ვერ უწიესო. მერე მსაჯს უკვე მერამდენედ შეკამათებია „ყოჩების" კაპიტანი ლიპარტელიანი. მერე კიდევ წაკინკლავებულან ხუადე და ჩიქავა (შარშან ერთად რომ თამაშობდნენ „გუმარში") და მსაჯს ორივე გაუძევებია. მერე სიტყვიერად შებმიან ერთმანეთს ლეჟავა და ჯაფარაშვილი. სულ ბოლო წუთებზე ტეფნაძეს ფეხით ალმისკენ დაურტყამს ბურთი. „ქორების" ლელოსთან დერეფანი დანიშნულა. ბურთი ჩავარდნილა მათს ლელოში და იქ „ყოჩ" ტყეშელაშვილს დაუმიწებია. ამის შემდეგ თამაში კიდევ გაგრძელებულა, მატჩის დამთავრების შემდეგ კი „ქორ" კობახიძეს მსაჯისთვის დაურტყამს.

„ქორებმა" შედეგი გააპროტესტეს და გადათამაშება მოითხოვეს. ისინი ამბობენ, რომ მსაჯს დერეფნის ნაცვლად 22-მეტრიანი დარტყმა უნდა დაენიშნა; რომ „ყოჩებმა" დერეფანში წინ განზრახ გადააგდეს ბურთი და რომ იქ ტყეშელაშვილამდე კვინიხიძემ ორჯერ (!?) დაამიწა.

„ქორები" იმასაც უჩივიან კავშირს, რომ ფულარიას არ უნდა ემსაჯა, ვინაიდან წელს არ დასწრებია მსაჯთა სემინარს.

კავშირმა განიხილა პროტესტიცა და ინციდენტებიც. პროტესტი უარყოფილ იქნა იმ მოსაზრებათა გამო, რომლებიც ცხადად წერია თამაშის წესებში, გულშემატკივრებისთვის კი ცნობილია ანდაზად, „მსაჯი ყოველთვის მართალიაო!"

რაც შეეხება ინციდენტებს, მათ გამო განაჩენის გამოტანა ორშაბათისთვის გადაიდო, რაკილა ყოველი იურიდიული ნიუანსი გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო. გარდა ამისა, არც გუნდებს წარმოუდგენიათ თავიანთი დასკვნები, რის გამოც გაძევებულნი ვერ ითამაშებენ მანამ, სანამ გუნდები ამ აუცილებელ ფორმალობას არ შეასრულებენ.

ერთი რამ კი დანამდვილებით შეიძლება ითქვას — არჩილ კობახიძეს სასტიკად დასჯიან. მას ერთბაშად ორი ბრალდება აქვს წაყენებული: მეტოქის დაწიხლვისთვის კოდექსის თანახმად 10-თამაშიანი დისკვალიფიკაცია ეკუთვნის, მსაჯის ცემისთვის — სამუდამო.

ზაზა ფხაკაძე

# სარბიელი

## ტოტალიზატორი "CROCO"

გერმანიის ჩემპიონატი. 30-ე ტური
26 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| კაიზერსლაუტერნი — ურდინგენი | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,0 |
| ზანქტ პაული — შალკე | 2,0 | 2,5 | 2,5 |
| 27 აპრილი | | | |
| ბაიერნი — ჰანზა | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,0 |
| დორტმუნდი — ჰამბურგი | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,0 |
| ლევერკუზენი — კარლსრუე | 1,6 | 2,7 | 3,4 |
| ფრაიბურგი — მიუნხენ 1860 | 2,2 | 2,4 | 2,4 |
| აინტრახტი — ვერდერი | 1,6 | 2,8 | 3,2 |
| შტუტგარტი — კიოლნი | 1,4 | 2,9 | 4,2 |
| 28 აპრილი | | | |
| მიონხენგლადბახი — ფორტუნა | 1,3 | 2,8 | 5,6 |

ინგლისის ჩემპიონატი. 37-ე ტური
27-29 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბლექბერნი — არსენალი | 2,0 | 2,5 | 2,5 |
| ტოტენჰემი — ჩელსი | 1,3 | 3,3 | 4,2 |
| უიმბლდონი — ქოვენთრი | 1,6 | 3,0 | 3,0 |
| შეფილდი — ევერტონი | 2,0 | 2,5 | 2,5 |
| ასტონ ვილა — მანჩესტერ სიტი | 1,3 | 3,0 | 5,0 |
| ლივერპული — მიდლსბრო | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,0 |
| ლიდსი — ნიუკასლი | 3,4 | 2,7 | 1,6 |
| მანჩესტერ იუნაიტედი — ნოტინგემი | 1,3 | 2,8 | 5,6 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,0 |
| ბოლტონი — საუთჰემპტონი | 2,7 | 3,0 | 1,7 |
| ქუინზ პარკი — ვესტ ჰემი | 1,9 | 2,7 | 2,5 |

იტალიის ჩემპიონატი. 32-ე ტური
28 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ატალანტა — ლაციო | 3,0 | 2,7 | 1,7 |
| ბარი — უდინეზე | 1,5 | 2,8 | 3,8 |
| კალიარი — ინტერი | 2,7 | 2,7 | 1,8 |
| მილანი — ფიორენტინა | 1,4 | 2,8 | 4,4 |
| ნაპოლი — სამპდორია | 2,3 | 2,4 | 2,3 |
| პიაჩენცა — პადოვა | 1,15 | 3,1 | 7,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,0 | 2,5 |
| რომა — იუვენტუსი | 1,9 | 2,6 | 2,6 |
| ტორინო — კრემონეზე | 1,4 | 2,8 | 4,4 |
| ვიჩენცა — პარმა | 2,3 | 2,4 | 2,3 |

ესპანეთის ჩემპიონატი. 38-ე ტური
27-28 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ალბასეტე — ტენერიფე | 2,0 | 2,5 | 2,5 |
| სოსიედადი — სალამანკა | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| 0:2 | 1,9 | 3,4 | 1,9 |
| სანტანდერი — კომპოსტელა | 1,8 | 2,7 | 2,7 |
| ატლეტიკო — ვალენსია | 1,5 | 2,6 | 4,2 |
| ხიხონი — ბარსელონა | 2,6 | 2,6 | 1,9 |
| სევილია — ბეტისი | 2,4 | 2,4 | 2,2 |
| ესპანიოლი — ოვიედო | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,0 |
| სელტა — რეალი | 2,4 | 2,4 | 2,2 |
| დეპორტივო — რაიო ვალეკანო | 1,3 | 2,9 | 5,3 |
| ვალიადოლიდი — სარაგოსა | 1,8 | 2,5 | 3,0 |
| მერიდა — ატლეტიკი | 1,8 | 2,7 | 2,7 |

საფრანგეთის ჩემპიონატი. 36-ე ტური
26-28 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| რენი — ნანტი | 1,6 | 2,6 | 3,6 |
| ნიცა — ბორდო | 1,7 | 2,7 | 3,0 |
| პარი სენ-ჟერმენი — ლილი | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| 0:1 | 1,6 | 3,4 | 2,5 |
| მარტიგი — ბასტია | 2,4 | 2,4 | 2,2 |
| ოსერი — სენტ ეტიენი | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| 0:1 | 1,6 | 3,4 | 2,5 |
| მეცი — გინგამი | 1,5 | 2,7 | 4,0 |
| სტრასბური — გენიონი | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,4 | 1,9 |
| ლიონი — მონაკო | 2,3 | 2,4 | 2,3 |
| ლე ავრი — კანი | 1,7 | 2,6 | 3,2 |
| ლანსი — მონპელიე | 1,4 | 2,8 | 4,4 |

თურქეთის ჩემპიონატი. 31-ე ტური
27 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ისტანბულსფორი — ტრაბზონსფორი | 4,0 | 3,0 | 1,4 |
| 28 აპრილი | | | |
| ფენერბაჰჩე — სამსუნსფორი | 1,1 | 3,2 | 8,0 |

ჰოლანდიის ჩემპიონატი. 33-ე ტური
28 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| აიაქსი — ვილემ II | 1,1 | 3,1 | 9,0 |

ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

გერმანია. 24 და ნაკლები — 1,9; 26 და მეტი — 1,9
ინგლისი. 25 და ნაკლები — 1,9; 27 და მეტი — 1,9
იტალია. 22 და ნაკლები — 1,9; 24 და მეტი — 1,9
ესპანეთი. 27 და ნაკლები — 1,9; 29 და მეტი — 1,9

ჰოკეის მსოფლიო ჩემპიონატის ფსონებს ადგილზე გაეცნობით

ფსონების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ALBACETE BALOMPIE | ■ | 0-0 | 0-1 | 2-0 | 2-1 | 1-3 | 1-0 | 1-1 | 1-2 | 1-1 | 0-1 | | 0-1 | 3-5 | 0-0 | 3-3 | 3-2 | | 1-3 | 4-2 | 4-0 | 2-0 |
| 2 | RCD ESPAÑOL BARCELONA | 1-0 | ■ | | 3-0 | | 0-0 | 0-0 | 0-2 | 4-2 | 3-1 | | 1-0 | 1-1 | 0-0 | 1-1 | 3-1 | 0-1 | 2-1 | 2-0 | 2-0 | 2-2 | 3-0 |
| 3 | FC BARCELONA | 3-0 | 2-1 | ■ | 4-1 | 1-0 | 1-0 | 1-1 | 1-3 | 2-0 | 3-0 | 4-1 | 1-1 | 3-1 | 1-0 | 1-0 | 4-1 | | 2-2 | 1-0 | 1-0 | | 2-2 |
| 4 | ATHLETIC DE BILBAO | | 0-0 | 0-0 | ■ | 0-0 | 2-1 | 1-0 | 0-2 | | 0-5 | 0-1 | 4-0 | 1-0 | 0-0 | 0-1 | 3-1 | 1-1 | 2-0 | 0-1 | 2-1 | 3-0 | 1-1 |
| 5 | SD COMPOSTELA | 3-1 | 2-1 | 2-1 | 2-1 | ■ | 1-0 | 4-0 | | 1-0 | 3-3 | 4-1 | 2-0 | 3-2 | 2-0 | 1-2 | 0-0 | | 0-2 | 0-4 | 1-3 | 1-1 | 1-0 |
| 6 | SPORTING GIJON | 3-0 | 2-3 | | 1-2 | | ■ | 1-1 | 1-2 | 3-1 | 0-0 | 0-1 | 4-2 | 4-1 | 1-1 | 2-0 | 0-2 | 3-1 | | 1-3 | 4-2 | 1-0 | 3-1 |
| 7 | DEPÓRTIVO LA CORUÑA | 5-0 | 0-1 | | 0-0 | 2-0 | 1-0 | ■ | 2-2 | | 3-0 | | 2-3 | 2-3 | 1-1 | 0-0 | 2-0 | 3-2 | 1-1 | 3-0 | 3-1 | 2-1 | 2-1 |
| 8 | ATLETICO DE MADRID | | 2-1 | 3-1 | 4-1 | 3-0 | 2-0 | 1-0 | ■ | 0-0 | 1-2 | 3-0 | 2-0 | 1-1 | 4-1 | 1-1 | | 0-1 | 3-1 | | 0-2 | 3-2 | 1-1 |
| 9 | RAYO VALLECANO | 2-0 | 1-0 | 1-1 | | 0-1 | 2-0 | 0-6 | 0-3 | ■ | 1-5 | 1-2 | 1-2 | | 2-0 | 1-2 | 1-4 | 0-0 | 2-4 | 3-2 | | 1-3 | 4-1 |
| 10 | REAL MADRID CF | 2-0 | 1-2 | 1-1 | 1-2 | 2-1 | 0-1 | | 1-0 | 1-2 | ■ | 2-3 | 1-2 | 2-2 | 3-2 | 4-2 | 5-0 | 4-1 | 2-0 | 0-0 | 4-1 | 1-0 | |
| 11 | REAL OVIEDO | 1-0 | 1-2 | 1-2 | 0-0 | 3-1 | 1-0 | 0-2 | 1-1 | 2-0 | 1-2 | ■ | 2-1 | 1-1 | | 0-1 | 2-2 | 2-3 | 1-3 | 0-1 | | | 0-0 |
| 12 | RACING SANTANDER | 5-5 | 1-1 | 1-1 | 1-1 | | 1-1 | 2-1 | 0-4 | 1-2 | 2-0 | 0-0 | ■ | 0-0 | | 0-0 | 2-1 | 1-1 | | 0-3 | 0-0 | 2-1 | 2-0 |
| 13 | REAL ZARAGOZA | 3-1 | 1-1 | 0-3 | | 1-0 | 1-1 | 2-3 | 0-1 | 1-1 | | 1-0 | 1-2 | ■ | 1-2 | 1-2 | 1-1 | 0-1 | 0-2 | 4-1 | 5-3 | 0-0 | |
| 14 | REAL SOCIEDAD | | 0-1 | 1-1 | | 0-1 | 2-0 | 2-1 | 1-0 | 2-1 | 1-1 | 0-0 | 2-1 | 3-1 | ■ | 1-1 | | 1-0 | 0-1 | 5-2 | 1-0 | 3-1 | 1-2 |
| 15 | REAL BETIS SEVILLA | 2-3 | | 1-5 | 0-0 | 5-0 | 2-5 | | 2-1 | 0-0 | 0-0 | 2-1 | 2-2 | 3-1 | 3-1 | ■ | 4-0 | 1-1 | 3-3 | 3-0 | 3-0 | 0-3 | 0-1 |
| 16 | SALAMANCA | 2-4 | 2-2 | 1-3 | 2-1 | 1-0 | | 0-5 | 1-3 | 1-2 | 0-2 | 0-1 | | 0-1 | 3-3 | 2-1 | ■ | 4-1 | 1-2 | 4-0 | 0-0 | 0-1 | 2-2 |
| 17 | SEVILLA FC | 1-1 | 0-3 | 1-0 | 1-1 | 0-1 | 2-0 | 0-0 | 0-0 | 1-0 | 0-1 | 1-1 | 0-1 | 1-1 | 2-1 | | | ■ | 0-1 | | 1-1 | 0-0 | 3-0 |
| 18 | CD TENERIFE | 1-3 | 1-4 | 1-1 | 3-2 | 1-1 | 3-0 | 1-1 | | 2-2 | 3-0 | 3-3 | 2-0 | 1-2 | | 1-2 | 4-0 | 4-2 | ■ | 2-1 | 1-0 | 1-0 | 1-0 |
| 19 | VALENCIA CF | 1-0 | | 4-1 | 3-1 | 5-2 | | 2-1 | 0-1 | 3-0 | 4-3 | 3-1 | 2-1 | 0-0 | 0-1 | 1-1 | 2-0 | 1-0 | | ■ | 1-0 | 3-0 | 4-1 |
| 20 | REAL VALLADOLID | 3-0 | 0-0 | 0-2 | 1-1 | 0-0 | 1-0 | 2-2 | 0-1 | 1-1 | | 2-2 | 3-1 | | 3-0 | | 1-0 | 3-3 | 3-0 | 2-5 | ■ | 1-1 | 1-1 |
| 21 | RC CELTA VIGO | 2-2 | 4-2 | 1-0 | 3-1 | 0-1 | 0-0 | 0-0 | 0-3 | 2-0 | | 1-0 | 0-0 | 1-1 | 1-1 | | 2-1 | 4-0 | 2-2 | | 1-1 | ■ | 2-0 |
| 22 | MERIDA | 1-1 | 0-1 | 0-0 | | 0-2 | 1-0 | 0-2 | 0-1 | | 2-2 | | 3-1 | 1-1 | 1-2 | 1-1 | 0-0 | 3-2 | 2-0 | 0-2 | 1-0 | 2-0 | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | BAYER 04 LEVERKUSEN | ■ | 2-1 | 1-2 | 1-1 | 0-0 | 2-0 | 0-1 | 0-0 | 0-1 | 2-0 | | | 1-2 | | 1-1 | 0-0 | 0-0 | 2-2 |
| 2 | BAYER UERDINGEN | | ■ | 1-6 | 0-2 | | 1-1 | 3-1 | 1-3 | 1-1 | 1-1 | 1-1 | 2-3 | 1-1 | 2-0 | 2-5 | 1-1 | 3-4 | 3-0 |
| 3 | FC BAYERN MÜNCHEN | 1-0 | 2-0 | ■ | 1-0 | 1-2 | 1-1 | 2-0 | | 3-2 | | 2-0 | 1-4 | | 4-2 | 1-1 | 4-0 | 5-3 | 2-0 |
| 4 | BORUSSIA DORTMUND | | | 3-1 | ■ | 2-1 | 6-0 | | 3-0 | | 1-2 | 1-1 | 4-1 | 3-0 | 3-1 | 1-0 | 0-0 | 6-3 | 1-1 |
| 5 | BORUSSIA MÖNCHENGLADBACH | 0-0 | 2-1 | 3-1 | 2-2 | ■ | 4-1 | 1-0 | | 1-2 | 3-2 | 1-1 | | 2-1 | | 2-4 | 4-1 | 1-1 | 1-0 |
| 6 | EINTRACHT FRANKFURT | 1-1 | 1-0 | 4-1 | 3-4 | 0-2 | ■ | 0-1 | 3-0 | | 1-3 | 3-1 | 2-2 | 1-0 | 4-2 | 2-2 | | 2-2 | |
| 7 | SC FREIBURG | | 1-1 | 3-1 | 0-1 | 0-0 | 2-0 | ■ | 1-1 | 0-3 | 2-1 | | 0-3 | 2-0 | | 0-2 | 1-2 | 2-1 | 0-1 |
| 8 | FORTUNA DUSSELDORF | 1-1 | 1-0 | 0-2 | 1-2 | 3-2 | | 0-0 | ■ | 2-2 | 2-2 | 2-1 | 2-0 | 1-1 | 1-1 | | 2-0 | 1-2 | 1-1 |
| 9 | HAMBURGER SV | | 0-0 | 2-1 | 2-2 | | 5-1 | 0-0 | 4-1 | ■ | 1-1 | 1-0 | 0-0 | 0-0 | 2-2 | 1-0 | 1-1 | | 3-3 |
| 10 | HANSA ROSTOCK | 1-2 | 1-0 | 0-0 | 3-2 | 2-3 | 1-1 | | 0-0 | 2-0 | ■ | 3-0 | 1-1 | | 0-3 | 2-0 | | 3-3 | |
| 11 | 1. FC KAISERSLAUTERN | 1-0 | | 2-3 | 1-1 | 1-3 | 1-1 | 1-2 | 2-0 | 1-2 | | ■ | 2-2 | 1-1 | 0-0 | 0-0 | 0-0 | 1-1 | 0-0 |
| 12 | KARLSRUHER SC | 1-4 | 2-0 | 2-6 | | 4-0 | 1-1 | 1-1 | 3-1 | 3-1 | 0-2 | 0-0 | ■ | 1-0 | 1-1 | | 0-1 | 1-2 | 1-1 |
| 13 | 1. FC KÖLN | 2-2 | 0-0 | 0-0 | 0-0 | 0-2 | | 1-1 | 0-0 | 3-2 | 3-0 | 0-1 | 0-1 | ■ | 2-0 | 1-0 | 0-1 | 2-2 | |
| 14 | TSV 1860 MÜNCHEN | 0-1 | 2-1 | 0-2 | | 4-0 | 3-1 | 3-0 | 2-1 | 5-0 | 1-1 | | 1-1 | 2-1 | ■ | 2-0 | 1-1 | 1-1 | 1-1 |
| 15 | ST. PAULI HAMBURG | 2-1 | | 0-1 | 0-3 | 0-2 | 2-1 | 1-1 | 2-1 | | 3-2 | 1-2 | 1-1 | 3-3 | 4-2 | ■ | | 1-3 | 1-2 |
| 16 | FC SCHALKE 04 | 1-1 | 1-1 | | 1-2 | 3-3 | 2-0 | 3-0 | 1-1 | 3-0 | 1-3 | 1-1 | 2-1 | 0-0 | 1-1 | 2-0 | ■ | | 2-1 |
| 17 | VfB STUTTGART | 1-4 | 0-0 | 0-1 | 0-5 | 5-0 | 3-2 | 3-1 | | 3-0 | 1-1 | 2-0 | | | 2-3 | 1-1 | 2-2 | ■ | 1-1 |
| 18 | WERDER BREMEN | 2-1 | 1-0 | | 2-2 | 2-0 | 1-1 | 0-2 | 1-1 | 2-1 | 0-2 | 1-1 | 1-0 | 0-1 | 2-0 | 1-1 | | 2-2 | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ATALANTA | ■ | 1-2 | 3-0 | 1-1 | 1-3 | 1-1 | 0-1 | | 0-1 | 1-3 | | 1-1 | 2-0 | 2-1 | 3-2 | 1-0 | 0-0 | 3-1 |
| 2 | BARI | 1-3 | ■ | 3-0 | 2-1 | 1-1 | 4-1 | | 3-3 | 1-0 | 1-1 | 2-1 | 1-1 | 0-0 | 1-2 | 1-3 | 2-2 | | 0-2 |
| 3 | CAGLIARI | 2-0 | 4-2 | ■ | 1-0 | 0-0 | | 0-0 | 0-1 | 1-2 | 2-0 | 0-1 | | 0-0 | 0-2 | 3-0 | 1-0 | 4-1 | 2-0 |
| 4 | CREMONESE | 1-1 | 7-1 | 3-1 | ■ | 0-0 | 2-4 | 3-3 | 2-1 | 0-0 | 1-1 | 2-1 | 0-2 | 0-0 | 0-1 | 0-0 | 1-1 | 2-2 | |
| 5 | FIORENTINA | 1-0 | 3-2 | 3-1 | 3-2 | ■ | 1-1 | 0-1 | 2-0 | 2-2 | 3-0 | 6-4 | 1-0 | 2-1 | | 2-2 | 2-0 | 3-0 | 1-1 |
| 6 | INTER | 1-0 | | 4-0 | 2-0 | 1-2 | ■ | 1-2 | 0-0 | 1-1 | 4-0 | 8-2 | 1-1 | 0-0 | 2-0 | 0-2 | 4-0 | 2-1 | 1-0 |
| 7 | JUVENTUS | | 1-1 | 4-1 | 4-1 | 1-0 | 1-0 | ■ | 4-2 | 1-1 | 1-1 | 3-1 | 1-0 | 2-0 | 0-2 | 0-3 | 5-0 | 2-1 | 1-0 |
| 8 | LAZIO | 5-1 | 4-3 | 4-0 | 2-1 | 4-0 | 0-1 | 4-0 | ■ | 0-1 | | 2-0 | 2-1 | 4-1 | 1-0 | 6-3 | 1-1 | 2-2 | 3-0 |
| 9 | MILAN | 3-0 | 3-2 | 3-2 | | | 0-1 | 2-1 | 0-0 | ■ | 0-0 | 1-0 | 3-0 | 3-0 | 3-1 | 3-0 | 1-1 | 2-1 | 4-0 |
| 10 | NAPOLI | 2-0 | 1-0 | 0-0 | 0-0 | 0-2 | 2-1 | 0-1 | 1-0 | 0-1 | ■ | 2-0 | 1-1 | 0-0 | 0-2 | | 1-0 | | 1-1 |
| 11 | PADOVA | 3-2 | 3-0 | | 1-2 | 0-1 | 2-1 | 0-5 | 1-3 | 1-2 | 4-2 | ■ | 1-3 | 1-1 | 1-2 | 1-1 | 1-1 | 2-3 | 3-2 |
| 12 | PARMA | 2-0 | 3-1 | 4-0 | 2-0 | 3-0 | 2-1 | 1-1 | 2-1 | 0-0 | 1-0 | 2-1 | ■ | 3-2 | 1-1 | 1-0 | | 1-0 | 0-1 |
| 13 | PIACENZA | 2-2 | 3-2 | 1-1 | 2-1 | | 1-0 | 0-4 | 2-1 | 0-2 | 0-1 | | 2-1 | ■ | 1-0 | 3-2 | 1-0 | 0-2 | 0-1 |
| 14 | ROMA | 0-1 | 2-1 | 1-1 | 3-0 | 2-2 | | | 0-0 | 1-2 | 4-1 | 2-0 | 1-1 | 2-1 | ■ | 3-1 | 1-0 | 2-1 | 1-1 |
| 15 | SAMPDORIA | 2-3 | 2-0 | 1-2 | 2-0 | 2-1 | 0-0 | 2-0 | 3-3 | | 2-2 | 3-1 | 3-0 | 3-0 | 1-1 | ■ | 1-0 | 1-0 | 2-2 |
| 16 | TORINO | 0-1 | 3-1 | 1-1 | | 0-3 | 0-1 | 1-2 | | 1-1 | 0-0 | 2-0 | 2-2 | 4-2 | 2-2 | 1-1 | ■ | 2-0 | 1-0 |
| 17 | UDINESE | 3-0 | 1-2 | 1-0 | 3-2 | 1-0 | 1-2 | 1-0 | 1-1 | 0-2 | 3-2 | 3-1 | 0-0 | | 1-1 | 2-4 | 1-0 | ■ | 1-1 |
| 18 | VICENZA | 1-0 | 2-0 | 0-1 | 1-0 | 1-0 | 1-1 | 2-1 | 1-0 | 1-1 | 3-0 | 2-1 | | 1-1 | 2-1 | | 2-1 | 0-1 | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | FC ARSENAL | ■ | 2-0 | 0-0 | | 1-1 | 1-1 | 1-2 | 2-1 | | 3-1 | 1-0 | 1-1 | 2-0 | 1-1 | 3-0 | 4-2 | 4-2 | 0-0 | 1-0 | 1-3 |
| 2 | ASTON VILLA | 1-1 | ■ | 2-0 | 1-0 | 0-1 | 4-1 | 1-0 | 3-0 | 0-2 | | 3-1 | 0-0 | 1-1 | 1-1 | 4-2 | 3-2 | 3-0 | 2-1 | 1-1 | 2-0 |
| 3 | BLACKBURN ROVERS | | 1-1 | ■ | 3-1 | 3-0 | 5-1 | 0-3 | 1-0 | 2-3 | 2-0 | 1-2 | 1-0 | 2-1 | 7-0 | 1-0 | 3-0 | 2-1 | 2-1 | 4-2 | 3-2 |
| 4 | BOLTON WONDERERS | 1-0 | 0-2 | 2-1 | ■ | 2-1 | 1-2 | 1-1 | 0-2 | 0-1 | 1-1 | 0-6 | 1-1 | 1-3 | 1-1 | 0-1 | 2-1 | | 2-3 | 0-3 | 1-0 |
| 5 | FC CHELSEA | 1-0 | 1-2 | | 3-2 | ■ | 2-2 | 0-0 | 4-1 | 2-2 | 1-1 | 1-4 | 5-0 | 1-0 | 1-0 | 1-1 | 0-0 | 3-0 | 0-0 | 1-2 | 1-2 |
| 6 | COVENTRY CITY | 0-0 | 0-3 | 5-0 | 0-2 | 1-0 | ■ | 2-1 | | 1-0 | 2-1 | 0-4 | 0-0 | 0-1 | 1-1 | 1-0 | 0-1 | 1-1 | 2-3 | 2-2 | 3-3 |
| 7 | FC EVERTON | 0-2 | | 1-0 | 3-0 | 1-1 | 2-2 | ■ | 2-0 | 1-1 | 2-0 | 2-3 | 4-0 | 1-3 | 3-0 | 2-0 | 2-2 | 2-0 | 1-1 | 3-0 | 2-4 |
| 8 | LEEDS UNITED | 0-3 | 2-0 | 0-0 | 0-1 | 1-0 | 3-1 | 2-2 | ■ | 1-0 | 0-1 | 3-1 | 0-1 | | 1-3 | 1-3 | 2-0 | 1-0 | | 2-0 | 1-1 |
| 9 | FC LIVERPOOL | 3-1 | 3-0 | 3-0 | 5-2 | 2-0 | 0-0 | 1-2 | 5-0 | ■ | 6-0 | 2-0 | | 4-3 | 4-2 | 1-0 | 1-0 | 1-1 | 0-0 | 2-0 | 2-2 |
| 10 | MANCHESTER CITY | 0-1 | 1-0 | 1-1 | 1-0 | 0-1 | 1-1 | 0-2 | 0-0 | | ■ | 2-3 | 0-1 | 3-3 | 1-1 | 2-0 | 1-0 | 2-1 | 1-1 | 2-1 | 1-0 |
| 11 | MANCHESTER UNITED | 1-0 | 1-1 | 1-0 | 3-0 | 1-1 | 1-0 | 2-0 | 1-0 | 2-2 | 1-0 | ■ | 2-0 | 2-0 | | 2-1 | 2-2 | 4-1 | 1-0 | 2-1 | 3-1 |
| 12 | MIDDLESBROUGH | 2-3 | 0-2 | 2-0 | 1-4 | 2-0 | 2-1 | 0-2 | 1-1 | 2-1 | 4-1 | | ■ | 1-2 | 1-1 | 1-0 | 3-1 | 0-0 | 0-1 | 4-2 | 1-2 |
| 13 | NEWCASTLE UNITED | 2-0 | 1-0 | 1-0 | 2-1 | 2-0 | 3-0 | 1-0 | 2-1 | 2-1 | 3-1 | 0-1 | 1-0 | ■ | 3-1 | 2-1 | 2-0 | 1-0 | | 3-0 | 6-1 |
| 14 | NOTTINGHAM FOREST | 0-1 | 1-1 | 1-5 | 3-2 | 0-0 | 0-0 | 3-2 | 2-1 | 1-0 | 3-0 | 1-1 | 1-0 | | ■ | | 1-0 | 1-0 | 2-1 | 1-1 | 4-1 |
| 15 | QUEEN'S PARK RANGERS | 1-1 | 1-0 | 0-1 | 2-1 | 1-2 | 1-1 | 3-1 | 1-2 | 1-2 | 1-0 | 1-1 | 1-1 | 2-3 | 1-1 | ■ | 0-3 | 3-0 | 2-3 | | 0-3 |
| 16 | SHEFFIELD WEDNESDAY | 1-0 | 2-0 | 2-1 | 4-2 | 0-0 | 4-3 | | 6-2 | 1-1 | 1-1 | 0-0 | 0-1 | 0-2 | 1-3 | 1-3 | ■ | 2-2 | 1-3 | 0-1 | 2-1 |
| 17 | FC SOUTHAMPTON | 0-0 | 0-1 | 1-0 | 1-0 | 2-3 | 1-0 | 2-2 | 1-1 | 1-3 | 1-1 | 3-1 | 2-1 | 1-0 | 3-4 | 2-0 | 0-1 | ■ | 0-0 | 0-0 | |
| 18 | TOTTENHAM HOTSPUR | 2-1 | 0-1 | 2-3 | 2-2 | | 3-1 | 0-0 | 2-1 | 1-3 | 1-0 | 4-1 | 1-1 | 1-1 | 0-1 | 1-0 | 1-0 | 1-0 | ■ | 0-1 | 3-1 |
| 19 | WEST HAM UNITED | 0-1 | 1-4 | 1-1 | 1-0 | 1-3 | 3-2 | 2-1 | 1-2 | 0-0 | 4-2 | 0-1 | 2-0 | 1-0 | 1-0 | 1-0 | | 2-1 | 1-1 | ■ | 1-1 |
| 20 | FC WIMBLEDON | 0-3 | 3-3 | 1-1 | 3-2 | 1-1 | | 2-3 | 2-4 | 1-0 | 3-0 | 2-4 | 0-0 | 3-3 | 1-0 | 2-1 | 2-2 | 1-2 | 0-1 | 0-1 | ■ |

# მწიფდება კონფლიქტი

ფიდე-ს ახალი პრეზიდენტის, კირსან ილუმჟინოვის (ყალმუხეთი) გადაწყვეტილებებმა, რბილად რომ ვთქვათ, ააფორიაქა ჭადრაკის სამყარო. დიდოსტატთა ელიტას ბევრი რამ არ მოსწონს ვაჟთა მსოფლიო პირველობის გათამაშების ახალ სისტემაში, კერძოდ პრეტენდენტთა დასკვნითი მატჩების პირობები. ჭადრაკის საზოგადოებრიობა აალელვა ერაყის დედაქალაქ ბაღდადში კარპოვ-კამსკის მატჩის დანიშვნამ.

ახლა იმის შესახებ, თუ როგორი იქნება მსოფლიო პირველობის გათამაშების სისტემა.

პირველობა მოეწყობა საშობაო არდადეგების პერიოდში — 1996 წლის 22 დეკემბრიდან 1997 წლის 12 იანვრამდე. თუ სად, ჯერ უცნობია, თუმცა მასპინძლობას სან-რემო, პარიზი, საიგონი, მოსკოვი და ბაქო იჩემებენ.

ტურნირი 8 წრედ უნდა მოეწყოს, ოლიმპიური სისტემით. I წრეში 68 მონაწილე იასპარეზებს, II-ში — 62. I წრეში 34 გამარჯვებულს 32 მოჭადრაკე დაემატება — პრეტენდენტთა ბოლო მატჩებში დამარცხებული ხუთი დიდოსტატი, 1995 წლის საუკეთესო რეიტინგის მქონე 14 დიდოსტატი და 9 იუნიორი, ბოლო სამი მსოფლიო ჩემპიონი და 1996 წლის 1 იანვრისთვის უმაღლესი რეიტინგის (2 600) მქონე 6 ყმაწვილი მოჭადრაკე. III წრეში სტარტს აიღებს 32 კაცი: II წრეში გამარჯვებული 31 და კარპოვ-კამსკის მატჩში დამარცხებული. IV წრეში — 16, V-ში — 8, VI-ში — 4, VII-ში — 4: VI წრეში ორი გამარჯვებული, კასპაროვი და კარპოვ-კამსკის მატჩი გამარჯვებული, VIII წრეში კი ფინალური მატჩი გაიმართება.

I-VII წრეების თითოეულ მატჩში ორ-ორი პარტია შედგება, ფინალურ მატჩში — 4. დროზე კონტროლი ამგვარად დაწესდება: 2 საათი პარტიის 40 სვლაზე და ერთი საათი პარტიის ბოლომდე. ახლა ჯილდოებზე: I წრეში დამარცხებული 6 ათას ამერიკულ დოლარს მიიღებს, II-VI წრეებში დამარცხებულები — ორჯერ მეტს, ნახევარფინალში დამარცხებულები — 375 ათას დოლარს, ფინალში დამარცხებული — 780 ათასს. მსოფლიო ჩემპიონს 1 მილიონ 370 ათასი დოლარი გადაეცემა.

მოჭადრაკეთა უმრავლესობას მოსწონს გათამაშების ახალი სისტემა. პრეტენზიები მხოლოდ ელიტას აქვს.

გარი კასპაროვის აზრით, რეფორმები ჩვენი დროის შესაბამისად უნდა განხორციელდეს. მსოფლიო პირველობა უფრო „მსუბუქი“ და მოკლე უნდა იყოს, უნდა მოიძებნოს საერთაშორისო ტურნირებისა და პრეტენდენტთა მატჩების ალტერნატი[illegible] მაგრამ მსოფლიო ჩემპიონის გამო[illegible]ენი ოთხმატჩიანი ფინალი ვერავი[illegible] კრიტიკას ვერ უძლებს. ფინალში, [illegible]ულ ცოტა, 16 პარტია უნდა გათამაშდეს.

დიდოსტატი იური რაზუვაევი წერს: „პირველობის გათამაშების იდეალური ფორმა ალბათ არ არსებობს. შემოთავაზებული სისტემა ცუდი როდია, მაგრამ ფინალურ მატჩში, სადაც ჩემპიონი უნდა გამოვლინდეს, 10-12 პარტია მაინც უნდა შედგეს“.

დიდოსტატი ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) ამბობს: „ჩემპიონის წოდების ახალი გათამაშება ლატარეას მაგონებს. ძველი სისტემის ნაკლოვანებების მიუხედავად მასში ჭეშმარიტად უძლიერესი იმარჯვებს. ახლა კი შესაძლოა ჩემპიონი შემთხვევით დიდოსტატი გახდეს. ჩვენ მრავალი სიურპრიზის მოწმე ვიქნებით“.

ცნობილი მწვრთნელი ანატოლი ბიხოვსკი წერს, რომ ფინალური მატჩის დიდი მნიშვნელობის გამო საჭიროა დასკვნით ეტაპზე გაიზარდოს სათამაშო პარტიების რაოდენობა: ნახევარფინალურში — ოთხამდე, ფინალში — თორმეტამდე. იგი აგრეთვე აუცილებლად მიიჩნევს ორი დასკვნითი წრის წინ ორ-სამკვირიან დასვენებას.

ახლახან გარი კასპაროვმა სანკტ-პეტერბურგში განაცხადა: სრულიად არ მაინტერესებს, დაამტკიცებს თუ არა ფიდე-ს კონგრესი ილუმჟინოვის პროექტს. როგორიც უნდა იყოს შერჩევითი სისტემა, 1997 წლის ბოლოს ან 1998 წლის დამდეგს მატჩი მსოფლიო ჩემპიონის სახელისათვის ჩემი მონაწილეობით შედგებაო.

მაშ ასე, გამოდის, რომ გარი კასპაროვი არ მიიღებს მონაწილეობას მსოფლიო პირველობის ახალი სისტემით გათამაშებაში. ეს კი ამ სისტემას ავტორიტეტს ნამდვილად არ აუმაღლებს.

ახლა კარპოვ-კამსკის მატჩის თაობაზე. შეგახსენებთ, რომ ფიდე-ს ვერსიით მსოფლიო პირველობის ეს დასკვნითი შეხვედრა შარშან უნდა შემდგარიყო, მაგრამ ფიდე-ს იმდროინდელმა პრეზიდენტმა კამპომანესმა დროულად ვერ მოაგვარა მატჩის მასპინძლისა და სპონსორის საკითხი. ბოლოს შეხვედრის გამართვა და სპონსორობა (1 მილიონ 700 ათასი დოლარი) მონრეალმა (კანადა) იკისრა. მატჩის დაწყების დღედ 1 ივნისი დაინიშნა.

და აი, ახლახან, ფინანსური სიძნელეების გამო, მონრეალმა უარი თქვა მასპინძლობაზე. ამ კრიტიკულ სიტუაციაში (საქმე ისაა, რომ მატჩი უნდა დამთავრდეს 6 თვით ადრე, ვიდრე ახალი მსოფლიო პირველობა დაიწყება) კირსან ილუმჟინოვმა მიიღო ერაყის ჭადრაკის ფედერაციისა და ოლიმპიური კომიტეტის წინადადება: თუ მატჩს ბაღდადში გამართავთ, ჩვენვე უზრუნველყოფთ საპრიზო ფონდს 2 მილიონი დოლარის რაოდენობით. ფიდე-ს პრეზიდენტმა თანხმობა გაუგზავნა.

ამას უმძაფრესი რეაქცია მოჰყვა. ყველა ალაშფოთა კირსან ილუმჟინოვის გადაწყვეტილებამ — ერაყში სადამ ჰუსეინის სისხლიანი რეჟიმი მძვინვარებს, ბაღდადში ესოდენ დიდი სპორტული პაექრობის დანიშვნა შეცდომააო. მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ მატჩის გახსნას თვით სადამ ჰუსეინი დაესწრება, სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბა.

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელი უარყოფითად გამოეხმაურა ამ ფაქტს: ცოტა ხომ არ არის მდიდარი საჭადრაკო ტრადიციების მქონე თავისუფალი ქვეყანა, სადაც შეიძლებოდა მატჩის მოწყობაო. ერთი ინგლისური გაზეთი წერს, რომ კირსან ილუმჟინოვის გადაწყვეტილება „მოულოდნელი“ იყო. მან ხომ იცოდა, რომ ერაყი გაეროს სავაჭრო და დიპლომატიურ იზოლაციაში იმყოფება. გაზეთი იმასაც დასძენს, რომ საპრიზო ფონდი თვით სადამ ჰუსეინმა გაიღო.

ილუმჟინოვის თანხმობას ფიდე-ს მოჭადრაკეთა საბჭოს თავმჯდომარის, დიდოსტატ როჯერსის (ავსტრალია) პოსტიდან გადადგომა მოჰყვა. კატეგორიულად დაგმო ბაღდადში მატჩის გამართვა ისრაელის ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარე ლაპიდმა. მან გააფრთხილა ფიდე-ს პრეზიდენტი: თუ არ შეცვლით გადაწყვეტილებას, ფიდე-ს დავტოვებთო. მატჩის სხვა ქვეყანაში გადატანა ნიდერლანდების ჭადრაკის ფედერაციამაც მოითხოვა.

დიდ საგონებელში აღმოჩნდა კირსან ილუმჟინოვი. იგი იცავს თავის გადაწყვეტილებას, მაგრამ მაინც მიმართა გაეროს შეკითხვით: ერაყის მიმართ სანქციები ჭადრაკზეც თუ ვრცელდებაო. ასეთ შემთხვევაში კარპოვ-კამსკის შეხვედრას სხვაგან გადავიტანთ, ისრაელში ან აშშ-ში, მაგრამ გაეროს უარიც მატჩს საუცხოო რეკლამას გაუწევსო.

რას ფიქრობენ თავად მატჩის მონაწილენი? კარპოვი თანახმაა ითამაშოს ბაღდადში, თუმცა, როგორც მართლმადიდებელს, მოსკოვში ურჩევნია თამაში. „ახლა მთავარია, ამბობს იგი, რას უპასუხებს გაერო ფიდე-ს პრეზიდენტს. რაც შეეხება პრიზს — 2 მილიონ დოლარს, ეს სარეკორდო თანხა როდია. კარპოვ-კასპაროვის ორ მატჩში საპრიზო ფონდი სამ-სამი მილიონი იყო“ — დასძენს კარპოვი.

გატა კამსკის მამის (იგი ყაზანელი თათარია) აზრით, მის ვაჟს, როგორც მუსლიმანს, მუსლიმანურ ქვეყანაში ესიამოვნება თამაში. მაგრამ მისი, აშშ-ის მოქალაქის მხრივ, ეს ერაყის წინააღმდეგ საერთაშორისო სანქციების დარღვევა იქნებოდა. ამ დარღვევისათვის აშშ-ში 12 წლით პატიმრობა და 1 მილიონი დოლარი ჯარიმაა. ასე რომ, გატა კამსკი ელოდება აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ნებართვას. თუმცა ეს მეტად საეჭვოა. ფიდე-ს გენერალური მდივნის თქმით, ნებართვის მიუღებლობის შემთხვევაში მას მატჩი წაგებულად არ ჩაეთვლება და ითამაშებს სხვა ქვეყანაში.

ამას წინათ სასწრაფოდ შეიკრიბა ფიდე-ს საპრეზიდენტო საბჭო და მიიღო გადაწყვეტილება განიხილოს მატჩის შესაძლო გადატანის საკითხი.

ასე რომ, ჭადრაკის სამყარო დიდ მოლოდინშია.

**თენგიზ გიორგაძე**
საერთაშორისო არბიტრი, ოსტატი



# ჩვენებს იმათი შური, იმათ — ჩვენებისა

**იმ დღეს თუ ძალოსნობის დარბაზში ევროპის ჩემპიონატიდან დაბრუნებულ ჩვენს მოვარჯიშე სპორტსმენებს ვნახავდით, არ გვეგონა. ვიფიქრეთ, სტავანგერში (ჰოლანდია) გამართული ბრძოლების მერე მათ ერთი-ორი დღით მაინც დაასვენებდნენ, მაგრამ საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის აკადემიის ძალოსნობის დარბაზში ერთის გარდა ყველა იქ დაგვხვდა. შეშით ღუმელი გაეხურებინათ და ზედ მიფიცხებოდნენ, რომ ვარჯიშამდე იმ ცივ დარბაზში ძარღვებში სისხლი აემოძრავებინათ.**

ჩვენი ძალოსნები ამ დარბაზის ხიზნები არიან, რაკიღა თავიანთი გაცილებით დიდია და პატარა ხის ღუმელით ვერ თბება. მიუხედავად ასეთი გაუსაძლისი პირობებისა, ჩვენი ბიჭები უკვე არაერთი ზამთრის განმავლობაში ხმის ამოუღებლად ეჭიდებიან გაყინულ ლითონს. ეჭიდებიან და ხან ერთი, ხან მეორე, ისეთ წარმატებებს აღწევს, რომ ბევრ მათ უცხოელ მეტოქეს, ცივ ნიავსაც რომ არ აკარებენ, შეშურდება.



ბიძინა მიქიაშვილი

აი, ახლაც, სტავანგერში ბიძინა მიქიაშვილმა (83 კგ), აქამდე მისი ყველაზე დიდი მიღწევა შარშანდელ ევროპის ჩემპიონატზე აკვრაში მოპოვებული III ადგილი რომ იყო, როგორც ვიუწყებოდით, ორი ვერცხლისა და ერთი ოქროს მედალი დაიმსახურა.

გვეგონა, ამ წარმატების მერე ბიძინა მიქიაშვილს მხიარულს ვიხილავდით, მაგრამ დაღონებული შეგვხვდა.

— ჩემი გამოსვლით კი კმაყოფილი ვარ, მაგრამ არც ისე, რომ სიხარულით ქუდი ჭერსა ვკრა, — გვეუბნება ბიძინა. — ჩვენი შესაძლებლობები სრულად ვერ გამოვავლინეთ. ძალიან დამწყდა გული, როცა ჩვენმა მძიმეწონოსანმა მუხრან გოგიამ აკვრაში წონა ვერ დააფიქსირა. მას ამ ვარჯიშში გამარჯვება, ორჭიდში კი ვერცხლის მედლის მოპოვება შეეძლო. ეს საქართველოს ნაკრებისთვის არნახული წარმატება იქნებოდა — ორი ოქროს და სამი ვერცხლის მედალი. თუმცა, რასაც მივაღწიეთ, ისიც წარმატებაა, თუ ჩვენს ცივ ზამთარს გავიხსენებთ.

**— ევროპის ჩემპიონატამდე გვითხარით, ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე მედლებისთვის მებრძოლთა შორის მეც ვიქნებიო. ახლანდელმა წარმატებამ ალბათ რწმენა განგიმტკიცათ.**

— რა თქმა უნდა, მით უმეტეს, რომ ზაფხულობით ენერგიის აშკარა მოზღვავებას ვგრძნობ და გაცილებით უკეთეს შედეგსაც ვაღწევ.

**— სტავანგერში თქვენი საუკეთესო შედეგები რომ გაგემეორებინათ, ორჭიდში ჩემპიონიც გახდებოდით. ამისკენ არ ისწრაფოდით თუ ეს საატლანტოდ ტაქტიკური მოსაზრებებით იყო განპირობებული? ამგვარი მოსაზრებებით ხომ არ აიხსნება ის, რომ ჩემპიონატი ევროპისა და მსოფლიო რეკორდების გარეშე დასრულდა.**

— არა, ყველა სპორტსმენმა ის შედეგი აჩვენა, რაც დღეისათვის შეეძლო. ყოველ შემთხვევაში, ჩემზე ამას ვიტყოდი. საქმე ის არის, რომ ახლა დოპინგის ხმარების წინააღმდეგ ბრძოლა ძალზე გამკაცრდა, არადა, ეს ძალოსანთა სენი იყო. დოპინგის ხმარებაში მხილებული ბევრი ძალოსანი თავის საყვარელ სპორტს ჩამოაშორეს. ოლიმპიური თამაშების წინ დისკვალიფიკაციამ ბევრი შეაშინა და ამ ჩემპიონატის დაბალი შედეგები ამით აიხსნება. სტავანგერში ჩამოვიდა ბარსელონას ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, ბერძენი პიროს დიმასი, რომელსაც ჩემს წონაში უნდა ეასპარეზა, მაგრამ სარბიელზე აღარ გამოვიდა. ალბათ დოპინგზე შემოწმებამ თუ დააფრთხო. თუმცა, გავიგე, რომ ძველებურად აღარ ერჩის ძალა და შედეგებიც უფერმკრთალდება.

**— დოპინგზე შემოწმებისას ვინმე ხომ არ ჩაფლავებულა?**

— ვისაც ამის შიში ჰქონდა, არ უასპარეზია, ხოლო ვინც ძალა სცადა და ანალიზი აულეს, პასუხს შეჯიბრების დამთავრებიდან სამი კვირის მერე განუცხადებენ.

**— თქვენს წონაში ბევრი იყო ისეთი, ვინც ასპარეზობას თავი აარიდა?**

— დიმასის გარდა ყველა უძლიერესმა სცადა ძალა. თუმცა, იყო კიდევ ერთი ძალოსანი — მარკ ხუსტერი, რომელმაც ზედა წონით კატეგორიაში გადაინაცვლა.

●

ახლა რამდენიმე სიტყვა ვთქვათ ჩვენს მძიმეწონოსან მუხრან გოგიაზე (108 კგ), საქართველოს ნაკრებში ყველაზე ტიტულოვანი ძალოსანი რომ არის. მას მოპოვებული აქვს ევროპის ჩემპიონატის სამი ბრინჯაოს და ერთი ვერცხლის, მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი სხვადასხვა მოძრაობაში.

სტავანგერში მან თავისი საუკეთესო შედეგი (182,5) გაიმეორა ატაცში და IV ადგილი დაიკავა, მაგრამ აკვრაში გაწბილდა და საწყისი წონა ვერ დასძლია. „სარბიელი“ ამის თაობაზე იუწყებოდა, მაგრამ საინტერესოა, თავად სპორტსმენის კომენტარი.

— აკვრაში ასპარეზობა 215 კილოგრამით დავიწყე, გვიამბობს მუხრან გოგია. — პირველი ორი ცდა ვერ დავაფიქსირე. მესამე ცდაზე 220 კგ შევუკვეთე, რადგან 215-ის დაძლევა მედალს აღარ მაძლევდა. სამწუხაროდ, ვეღარც ეს წონა დავაფიქსირე. ამის მიზეზი ის იყო, რომ მხარის ტრავმა ცოტა არ იყოს მაწუხებდა. ამას გარდა, ამ შეჯ[illegible]ვის საგანგებოდ არ მოვმზადებულვარ. სტავანგერში გამოსვლას არც ვაპირებდი და მინდოდა ატლანტისთვის მშვიდად მოვმზადებულიყავი, რადგან ოლიმპიური ლიცენზია ჯერ კიდევ შარშანდელ მსოფლიო ჩემპიონატზე მოვიპოვე. მერე, როცა კარგად გავაანალიზე მდგომარეობა, ევროპის ჩემპიონატზე გამოსვლა ვამჯობინე. საქმე ისაა, რომ ოლიმპიურ თამაშებამდე ჩვენ ასპარეზობა აღარ გველის. ამიტომ სტავანგერში გამოსვლა საშეჯიბრო პრაქტიკისთვის აუცილებელი იყო.

**— ვთქვათ და აკვრაში იმ 220 კილოგრამის დაძლევა დაგეფიქსირებინათ, მაშინ რას მოგიტანდათ ეს?**

— ორჭიდში ვერცხლის მედალი გარანტირებული მექნებოდა.

— მერედა. [illegible] ნა?

— [illegible] ბედმა არ გამიღიმა.

**— ამ წარუმარტებლობამ ოლიმპიური მედლისათვის საბრძოლველად ხომ არ შეგაფიქრიანათ?**

— არა, ამას ჩემი გეგმები და ოცნება სულაც არ შეუცვლია. ატლანტაში მედლისათვის აუცილებლად ვიბრძოლებ.

●

ჩვენმა ზემძიმეწონოსანმა კობა ტალახაძემ ატაცში 177,5 კილოგრამით VI ადგილი დაიკავა, აკვრაში კი 195,5 აწია და ორჭიდში მეთორმეტე იყო.

— კობა მთელი ორი წლის განმავლობაში არ ვარჯიშობდა. შარშან დაუბრუნდა ფიცარნაგს, — გვეუბნება საქართველოს ძალოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი რამაზ გურგენიძე. — მან შარშან ჩინეთში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატთან შედარებით 5 კილოგრამით გააუმჯობესა შედეგი. ჩვენ ახლა ოლიმპიური თამაშების ხუთი ლიცენზია გვაქვს და მე, როგორც სპეციალისტს, მიმაჩნია, რომ ტალახაძე ატლანტაში უთუოდ უნდა გამოვიდეს. ვფიქრობ, იგი იმ დროისთვის სპორტული ფორმის ზენიტში იქნება. მას რომ ცოტა ადრე განეახლებინა ვარჯიში, ნორვეგიაში მედალს მოიპოვებდა.

— სტავანგერში გამოდიოდა კიდევ ერთი ჩვენი ძალოსანი, ვალერი სარავა (91 კგ). იგი არა მხოლოდ საქართველოს ნაკრების, არამედ საერთოდ ევროპის ჩემპიონატის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე გახლდათ. ამ 18 წლის ძალოსნისთვის ეს შეჯიბრება იყო პირველი ასპარეზობა, სადაც უფროსებს შეებრძოლა. ბუნებრივია ღელავდა. ატაცში იგი საწყის წონას (140 კგ) ვერ მოერია, აკვრაში კი 177,5 აწია და XXII ადგილი დაიკავა. საბოლოოდ, საქართველოს ნაკრებმა გუნდურ პირველობაში მედლების ხარისხისა და რაოდენობის მიხედვით IX ადგილი დაიკავა, ქულების გამოანგარიშებით კი — XVII.

**— პირადად თქვენ რითი ახსნით ჩვენი გუნდის ლიდერის მარცხს?**

— მე მაინც მგონია, რომ მუხრან გოგიას მარცხის მიზეზი... სპორტულ ფეხსაცმელში უნდა ვეძებოთ. საქმე ის იყო, რომ მუხრანს თავისი ძველი, ნაცადი სპორტული ფეხსაცმელი მთლად გაუცვდა და დაეგლიჯა. იმითი ევროპის ჩემპიონატზე გამოსვლა სამარცხვინო იქნებოდა. ამიტომ ადგა და მთლად ახლები ჩაიცვა. ძალოსანმა ახალი ფეხსაცმელი რომ მოირგოს, ათჯერ მაინც უნდა ჩაიცვას და ივარჯიშოს. უხმარი, მიუჩვეველი ფეხსაცმელი ძალოსანს კორდინაციას აკარგვინებს. მუხრანის წარუმარტებლობის მიზეზი ამიტომაც მგონია ახალი ფეხსაცმელი და არა იმდენად მისი მტკივანი მხარი. რაკი სიტყვამ მოიტანა, იმასაც ვიტყვი, რომ ახალი, ერთნაირი სპორტული ფორმა სანატრელი გვაქვს. ევროპის ჩემპიონატზე ყველაზე სამარცხვინოდ ვიყავით ჩაცმულნი. სტავანგერში ჩვენები, ვისაც რა ჭრელაჭრულა ჰქონდა, იმით შეიმოსა, სხვები კი, მათ შორის ჩვენი მეზობლებიც, ისე იყვნენ ჩაცმულ-დახურულნი, ავ თვალს არ დაენახვებოდნენ.

**— ატლანტამდე რას აპირებთ?**

— ოლიმპიურ თამაშებამდე ნაკრების წევრებს შეჯიბრება აღარ ელით. ახლა მინდა 24-დღიანი შეკრება საქართველოში გავმართოთ. ფასანაურში კარგი სასტუმრო და კვების ბლოკი გვეგულება. მთავარია იქ მოვძებნოთ რაიმე დარბაზი, სადაც ფიცარნაგის დადგმა იქნება შესაძლებელი. ფასანაურის მერე კიდევ ერთი შეკრება დაგვჭირდება, ოღონდ ზღვის დონიდან 300 მეტრზე, რადგან ეს ატლანტის სიმაღლეს შეესაბამება.

**მანამდე კი...**

მანამდე ჩვენი ძალოსნები, რაკი მზეც აღარ გვწყალობს, კვლავ მამაპაპურად შეშას ჩეხენ, ღუმელს აგიზგიზებენ და ცივ რკინას ეჭიდებიან.

**ავთანდილ გურასაშვილი**
ავტორის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნბა-ში უგრძესი



„თხუთმეტი წლისას კალათბურთზე, როგორც სპორტის სახეობაზე, წარმოდგენაც კი არ მქონდა", — იგონებს NBA-ს ყველა დროის უგრძესი რუმინელი კალათბურთელი გეორგ მურეშანი.

ათი წლის წინ იგი თავისი თანატოლებივით ტანვარჯიშით იყო გატაცებული და 206-სანტიმეტრიან აყლაყუდას სპორტის სხვა სახეობები სულაც არ აინტერესებდა, მაგრამ კბილის ტკივილმა მას საკალათბურთო მწვერვალებისკენ გაუხსნა გზა. დანტისტი, რომელიც გეორგს კარიესს მკურნალობდა, ამავე დროს კალათბურთის მსაჯიც აღმოჩნდა. სწორედ მისი პროტექციით ჩარიცხეს მურეშანი კლუჯის უნივერსიტეტის გუნდში.

ოთხ წელიწადში მან თავის ახლანდელ (231 სანტიმეტრი) სიმაღლეს მიაღწია. საფრანგეთის ჩემპიონატის წამყვან გუნდ „ორტეზში" გადავიდა და სეზონში 300 000 დოლარს იღებდა. თუმცა კვლავ ფიზიკურად სუსტი და ზანტი გახლდათ, მაგრამ ყველას მაინც ზემოდან დაჰყურებდა.

ვიდეოფირი, რომელზეც მურეშანის თამაში იყო აღბეჭდილი, პირველმა „ფილადელფია 76-ის" გენერალურმა მენეჯერმა, ახლა კი „ვაშინგტონ ბულიტსის" მთავარმა მწვრთნელმა ჯიმ ლემანმა იგდო ხელთ. „მხოლოდ მისმა სიმაღლემ მოახდინა ჩემზე შთაბეჭდილება. სხვა მხრივ ის ძალზე მოუმზადებელი ჩანდა. ისეთი ნელი იყო, სულ იმას ვფიქრობდი, რამდენ ხანს მოანდომებდა საკუთარი ფარიდან მეტოქის სამწამიან ზონაში ჩასვლას," — იგონებს ლემანი. „ვაშინგტონ ბულიტსის" გენერალურმა მენეჯერმა ჯონ ნეშმა გეორგს თვალი დაადგა და დრაფტში ამოირჩია. „ჩვენი აზრით, მურეშანისთვის თავისი შესაძლებლობების გამოვლენის შანსი უნდა მიგვეცა, თანაც, მისი ხელში ჩაგდება ბევრ კლუბს სურდა," — ამბობს ნეში.

მურეშანმა არაd ჩააგდო ბერძნების მიერ შეთავაზებული 500 000 დოლარიანი კონტრაქტი და მყისვე ამერიკას გაფრინდა, სადაც წელიწადში მხოლოდ 150 000 დოლარს ჰპირდებოდნენ. „ამერიკაში თავის გამოჩენის უფრო დიდი შანსი მქონდა," — ასე ხსნის თავის მოქმედებას კალათბურთელი, — „საწვრთნელი პროცესი იქ გაცილებით მაღალ დონეზეა. ევროპაში რომ დავრჩენილიყავი, ჩემი პროფესიული განვითარება გაიყინებოდა."

ჯანზე რომ ყოფილიყო და სიმაღლეში კიდევ არ გაზრდილიყო, მან თავის ქალიდან სიმსივნე ამოიჭრა, რადგან იგი ტვინს აწვებოდა და კალათბურთელის ზრდას ხელს უწყობდა. უკვე სამი წელია, რუმინელს ერთი მილიმეტრითაც არ მოუმატია, მაგრამ მისი პრობლემები ამით არ ამოწურულა — „დღეში სამჯერ ინექციას ვიკეთებ და ორჯერ რამოდენიმე აბს ვყლაპავ, ჰორმონალური წონასწორობა რომ შევინარჩუნო," — ამბობს მურეშანი.

გეორგს ყველაზე მეტად თვითმფრინავით მგზავრობა არ ჰყვარებია, რადგანაც მისი გრძელი სხეული სავარძელში ვერ ეტევა და კალათბურთელს თავი მუხლებს შორის აქვს მოქცეული. დაბალ ჭერქვეშ გავლა და ჩვეულებრივი მოკვდავის საწოლში სხეულის გამართვა მისთვის დიდი ხანია სანატრელია.

მურეშანისთვის უცხოა ამერიკული ცხოვრების წესი. „ჩემი ცხოვრება ჩემი აპარტამენტების, საკალათბურთო დარბაზისა და ბალტიმორის საერთაშორისო აეროპორტისგან შედგება. მადლობა ღმერთს, მყავს ისეთი მეგობრები, რომლებიც მუდამ გვერდში მიდგანან და ცხოვრებას მიადვილებენ," — ამბობს მურეშანი.

მურეშანმა არაორდინალური და გამორჩენილი ადამიანების „საწყობიდან" — ჰოლივუდიდანაც მიიღო მიწვევა. მას კალათბურთის თემაზე გადაღებულ რომელიმე ფილმში თამაშს სთავაზობდნენ. „მსახიობილი კრისტელის ამ წინადადებას მაშინვე დავთანხმდი. ჩემი აზრით, ეს საოცრად სახალისო იქნება," — ფიქრობს მურეშანი.

„ვაშინგტონ ბულიტსის" ქომაგების გასახარად მურეშანი გონებაჩლუნგი კარპატელიდან მაღალშედეგიან კალათბურთელად ჩამოყალიბდა. იგი თამამად შეიძლება შეადარო ისეთ ვარსკვლავებს, როგორებიც შაკილ ონილი, ალონზო მურნინგი და ჰაკიმ ოლაჯუონი არიან.

ერეკლე კიკილაშვილი

## ძრწოდე, აბუტო ნანჯონგ!



რედაქციაში მომავალი რეკორდსმენი მოვიდა. მას გოდერძი მახარაძე ჰქვია და 23 წლის არის.

გოდერძი ის კაცია, ვის გამოც ჩვენმა მესვეტემ დაწერა, დინამო — ალანიას მატჩის დროს თავით დიდხანს კენწლავდა ბურთსო.

მას გადაუწყვეტია თავით კენწვლის მსოფლიო (საგინესო) რეკორდი მოხსნას. ეს რეკორდი კენიელ აბუტო ნანჯონგს ეკუთვნის. მას 5 საათს და 30 წუთს უკენწლია ბურთი თავით ტეხასის ქალაქ ელ-პასოში.

გოდერძი მახარაძე ფეხბურთელი ყოფილა, ხობის „კოლხეთსა" და ნოვოროსიისკის „მინატებში" უთამაშია და ამიტომ ბურთის კენწვლა არ ესწავლება.

ამბობს, უნდა მოვხსნა მსოფლიო რეკორდიო. ჯანზეა და ფიზიკურ ვარჯიშს ყოველდღიურად მისდევს (მარჯვენა ხელის მტევნის დინამომეტრი — 50, მარცხენასი — 44).

ოღონდ ეგ არის, სარეკორდო გარჯისათვის აუცილებლად სჭირდება შემწე ან სპონსორი, რათა ეს უკანასკნელი მორალურად და მატერიალურად თანაუდგეს.

ტელ: 31-36-46, 45-17-88

## IV ეტაპი

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

ევროპის „დიდი პრიზი"

„ნიურბურგრინგი", გერმანია. 28 აპრილი

ტრასის სიგრძე: 4,542 კმ

რბოლის დისტანცია: 68 წრე (308,856 კმ)

რეკორდი კვალიფიკაციისას: ფაბი (ტოულმან-ჰარტი, 1985) 1.17,429 (211, 177 კმ-სთ). წრის რეკორდი (რბოლისას): შუმახერი (ბენეტონ-რენო, 1995) 1.21,180 (201,039 კმ-სთ). გამარჯვებულის საუკეთესო დრო: ალბორეტო (ფერარი, 1985) 1:35.31,337 (191,147 კმ-სთ)

შარშანდელი შედეგები. კვალიფიკაცია: კულჰარდი (უილიამს-რენო) 1.18,738. საუკეთესო წრე რბოლისას: შუმახერი (ბენეტონ-რენო) 1.21,180 (202,039 კმ-სთ). გამარჯვებული: შუმახერი 1:39. 59,044




1950 წლის 13 მაისს „სილვერსტოუნის" ტრასაზე (ინგლისი) ევროპის „დიდი პრიზის" გათამაშებით დაიწყო ფორმულა-1-ის კლასში მსოფლიო პირველობების ისტორია. გაიმარჯვა ჯუზეპე ფარინამ „ალფა-რომეოთი". მას შემდეგ ევროპის „დიდი პრიზი" ინგლისის, ესპანეთისა და გერმანიის სხვადასხვა ტრასაზე ჩატარებულა. ბოლო ორი წელია მას „ნიურბურგრინგი" მასპინძლობს.

69 წლის წინ, ეიფელის მთიანეთის ტყით დაფარულ გორაკებს შორის აშენდა „ნიურბურგრინგის" ავტოდრომი, ე.წ. „ნორდშლაიფე", რომელიც გამოირჩეოდა სიგრძით — 22,84 კმ, თვალწარმტაცი გარემოთი და მეტად ჭირვეული ამინდით — აქ რბოლა ხშირად წვიმასა და ნისლში ჩატარებულა. 1968 წლის აგვისტოში ძლიერ ნისლში ჯეკი სტიუარტმა მეორე ადგილზე მყოფი გრემ ჰილი 4 წუთით (!) ჩამოიტოვა. 1976 წელს ამ ტრასაზე სიკვდილს სასწაულებრივ გადაურჩა ავსტრიელი ნიკი ლაუდა, რომლის „ფერარისაც" ავარიის შემდეგ ცეცხლი გაუჩნდა. ამ შემთხვევის შემდეგ „რინგზე" რბოლები აღარ ჩატარებულა.

1982 წელს ლეგენდარული ტრასის მახლობლად აშენდა ახალი 4,542 კმიანი ტრასა. იგი 80 მილიონი მარკა დაჯდა. 1984 წელს მასზე ევროპის „დიდი პრიზი" გათამაშდა. გაიმარჯვა ალენ პროსტმა („მაკლარენ-პორშე"). პილოტები ერთხმად აღნიშნავდნენ ტრასის უსაფრთხოებას და იმას, რომ სისწრაფე არ იგრძნობოდა. შარშან აქ კვლავ გამოჩნდნენ ფორმულა-1-ის ბოლიდები. პილოტებმა ასე შეაფასეს ავტოდრომი.

შუმახერი: ეს მანი-კურის (საფრანგეთი) ტიპის ტრასაა; თუმცა ნაკლებად აჩქროლებს სისხლს, სამაგიეროდ უსაფრთხოა. კულჰარდი: ძალიან სასიამოვნო ტრასაა ბოლიდის სამართავად, თუმცა მასზე რბოლა არც თუ ისე ადვილია — მოკლე სწორი მონაკვეთების გამო.

თვით რბოლამ, ტრადიციულ წვიმაში, მეტად საინტერესოდ ჩაიარა. შუა გზაზე ალეზი 42 წამს უგებდა შუმახერს, მაგრამ გერმანელი სასწაულად დაეწია ლიდერს, შემდეგ დაძაბულ ორთაბრძოლაში შეცდომა დაუშვებინა და ფინიშამდე სამი წრით ადრე კიდეც გაუსწრო.

შარშან შუმახერი „ბენეტონ-რენოთი", ხოლო ალეზი „ფერარით" ასპარეზობდა. წელს ამ პილოტებმა ბოლიდები გაცვალეს. საინტერესოა, თუ როგორ იმოქმედებს ეს მათ შედეგებზე წლევანდელი ევროპის „დიდი პრიზის" გათამაშებისას.

ალეკო ჯაბუკიანი

## ამ კვირის ჩოგბურთი

საერთაშორისო ფედერაციამ დააჯარიმა შვედები, რომლებმაც დევისის თასზე ინდოეთში სტუმრობის წინ მედიაში მასპინძელთა ეროვნული ღირსების შემლახველი კამპანია გააჩაღეს, ბოდიში კი ჯერაც არ მოუხდიათ. ასე იყო თუ ისე, შვედეთმა ის, კალკუტის მატჩი 5-0 მოიგო და ნახევარფინალში გავიდა.

მონტე-კარლოში წლის პირველი დიდი სათიხნარო ტურნირი მიმდინარეობს. სამპრასის გამოკლებით თითქმის ყველა ბობოლა შეკრებილა. ოთხშაბათს იშვიათი რამ მოხდა — ერთბაშად ათი (!) განთესილი გავარდა; ხელი მოეცარათ ივანიშევიჩს, კაფელნიკოვს, ენკვისტს, კურიეს, აწ უკვე ჩამოწერილ ედბერგს. ბრუგერამ შესარჩევი შეჯიბრიდან გამოსულ ესპანელ ფელიქს მანტიასთან წააგო, ჩანგს კი ესპანელმავე კარლოს კოსტამ მოუგო. სამაგიეროდ, მესამე წრეში გავიდნენ შარშანდელი ჩემპიონი მუსტერი და ბეკერიც.

პიტ სამპრასი ზედიზედ მესამედ სცნეს წლის საუკეთესო ჩოგბურთელად. მანამდე ასეთივე პატივი ხვდენიათ ჯიმი კონორსსა და ივან ლენდლს.

აშშ-ის ქალთა ნაკრების კაპიტანმა ბილი-ჯინ კინგმა სთხოვა საერთაშორისო ფედერაციას, რათა ამან ატლანტაში პერსონალურად მიიწვიოს ჯენიფერ კაპრიატი, ოლიმპიური ჩემპიონი რომაა, მაგრამ პირადი ცხოვრების არევის გამო ბოლო წლებში ბევრი გაუცდა. ჯენი ამ უქმეებზე ფედერაციის თასზე აშშ — ავსტრიის მატჩში იმონაწილევებს.

მხარმტკივანი მონიკა სელეში საფრანგეთის ღია პირველობამდე ერთ შეჯიბრშილა — ბარსელონისაში ითამაშებს.

32 წლის ფრანგმა ანრი ლეკონტმა, წლის ბოლოს თამაშს რომ თავს ანებებს, უიმბლდონის მომწყობთ ვაილდ-ქარდი სთხოვა, ამით კი მიუგეს, თქვენს მოწვევას მეტი ბრიტანელი ჭაბუკის მონაწილეობა გვირჩევნიაო. წელს საპრიზო ფონდმა 400 ათასი გირვანქით იმატა და 6,5 მილიონი შეადგინა. კაც ჩემპიონს 392 ათასი ერგება, ქალ გამარჯვებულს კი — 353 ათასი.

## ტაისონი ყაბულსაა

მაიკ ტაისონმა ისმინა ციხიდან თავდებით გამოშვებულთა სამეთვალყურეო სამსახურის შეგონება და პირობაც დადო, რომ ამიერიდან მოერიდება საშარო დაწესებულებებს — ღამის კლუბებსა და სტრიპტიზ-ბარებს, რადგანაც ერთ-ერთ მათგანში 7 აპრილს ცუდი ამბავი შეემთხვა: მავანმა როსკიპმა პოლიციაში უჩივლა, წამაქცია და სახეზე კბენაც დამიპირაო.

მოკრივე ამ ვერსიას კატეგორიულად უარყოფს, პოლიცია კი განაგრძობს ინციდენტის ძიებას.

ამასობაში ტაისონთან შესარკინებლად უკვე გრძელი რიგი დამდგარა. მაიკის პოტენციურ მეტოქეთა ერთბაშად სამი წყვილი შეიბმება 10 მაისს, ნიუ-იორკის „მედისონ სქვეარ გარდენში": ერთი ექს-ჩემპიონი, ბრიტანელი ლენოქს ლუისი ეჩხუბება ოლიმპიურ ჩემპიონ რეი მერსერს, მეორე ექს-ჩემპიონი ევანდერ ჰოლიფილდი — ვეტერან ბობი ჩიერსს, თიმ ვიზერსფუნი კი — ექს-კუბელ ხორხე გონზალეზს.

ამ ექვსეულიდან ტაისონის უპირველეს მეტოქედ ლუისი მიიჩნევა, მით უფრო, რომ ბრუნო — ტაისონის შერკინების კვირაძალს გამოტანილი სასამართლო განჩინებით მაიკს ტიტულის შემდეგი დაცვა ლენოქსის ხელყოფისაგან მართებს, მაგრამ საქმე ისაა, რომ მსოფლიო კრივში არსებობს მეორე ხელისუფლებაც — მენეჯერთა-მენეჯერი დონ კინგი, ვინაც მოკრივეებსაცა და კანონსაც თავის ჭკუაზე ატრიალებს. ამ კინგს გულზე არ ეხატება ლუისი და ერთთავად მის დამცრობას ცდილობს.

ტაისონი საბჭოს (ვბკ) ვერსიითაა ჩემპიონი და დანარჩენი სამი გაერთიანების ჯილაობასაც აპირებს. მაიკთან შერკინებას გეგმავდა სამხრეთაფრიკელი ფრანსუა ბოთა, ვინაც დეკემბერში კი სცემა გერმანელი აქსელ შულცი, მაგრამ დოპინგზე ჩავარდა და აშშ-ის ფედერალური სასამართლოს მოთხოვნით ფედერაციამ (იბფ) ტიტული ჩამოართვა. მერე ბოთამ აშშ-ის სააპელაციო სასამართლოში იჩივლა, ამან კი სამშაბათს უარყო სარჩელი. ამით გაირკვა, რომ წინ ვეღარაფერი დაუდგება აქსელ შულცისა და ექს-ჩემპიონ მაიკლ მორერის 22 ივნისის შერკინებას, რომლის გამართვასაც ბერლინში ვარაუდობენ.

ამ ბრძოლის გამარჯვებული იბფ-ის ჩემპიონად გამოცხადდება. მერე მოსალოდნელია, რომ მას ტაისონი გამოიწვევს ვერსიათა შესაჯერებელ მატჩში.

## საერთაშორისო რაგბი

### ზე-12-ის პირველობა

23 აპრილი

დას. კონცხი 35:25 ველინგთონი

ტრანსვაალი 55:23 ქენთებრი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოქლენდი (ზ) | 7 | 6 | 0 | 1 | 287:202 | 32 |
| ქვინზლენდი (ავ) | 8 | 6 | 0 | 2 | 223:198 | 28 |
| კანბერა (ავ) | 8 | 6 | 0 | 2 | 210:199 | 27 |
| ჩრდ. ტრანს (აფ) | 8 | 5 | 0 | 3 | 233:171 | 24 |
| ვაიქათო (ზ) | 9 | 5 | 0 | 4 | 237:229 | 23 |
| ახ. სამხ. უელ (ავ) | 8 | 4 | 0 | 4 | 199:170 | 22 |
| ოთაგო (ზ) | 9 | 4 | 0 | 5 | 274:294 | 22 |
| ნატალი (აფ) | 7 | 4 | 0 | 3 | 239:187 | 21 |
| ველინგთონი (ზ) | 8 | 2 | 0 | 6 | 222:248 | 13 |
| ქენთებრი (ზ) | 9 | 2 | 1 | 6 | 181:291 | 12 |
| ტრანსვაალი (აფ) | 8 | 2 | 0 | 6 | 170:203 | 11 |
| დას. კონცხი (აფ) | 9 | 2 | 1 | 6 | 219:302 | 11 |

შენიშვნა: მოგება — 4 ქულა, ფრე — 2 ქულა, არაუმეტეს 7 ბურთით წაგება ანდა მეოთხე ლელოს გატანა — თითო პრემიალური ქულა. მოწინავე ოთხეული გადის პლეი-ოფში

26. IV: ქვინზლენდი — ოქლენდი

27. IV: ნატალი — ქენთებრი, ჩრდ. ტრანსვაალი — ველინგთონი

28. IV: ვაიქათო — ახ. სამხრ. უელსი, დას. კონცხი — კანბერა

უმღვრთნელოდ დარჩენილი ტრანსვაალი ზელანდიელმა ალექს ვაილიმ ჩაიბარა და შემადგენლობაც გადაუხალისა, მაგრამ ნაკრების კაპიტან ფრანსუა პინარს არ შეხებია. გუნდმაც გაილაღა და შვიდი ლელო გაუტანა ზელანდიის ქენთებრის.

წააგო აფრიკაში სტუმრად მყოფმა მეორე ზელანდიურმა გუნდმა ველინგთონმაც, თუმცკი პირველსავე წუთზე გაუტანა ლელო კონცხს და თამაშის ბოლო მეოთხედამდეც სამი ქულით უსწრებდა მასპინძლებს. აქ კონცხის 10 ნომერ ჯოელ სტრანსკის სამი საჯარიმო გაუცუდდა, მაგრამ 9 ნომერმა ჯოგი ვილჯოინმა ხუთმეტრიანი შერკინებების შემდეგ თავად შეუტია და ორი ლელო გაიტანა, სტრანსკიმ კი ბოლოს მეექვსე საჯარიმოც შეაგდო.

დღეს დიდი მატჩია: ქვინზლენდი ოქლენდს უმასპინძლებს. მერე ოქლენდი ახალ სამხრეთ უელსს შინ ეთამაშება, მაისში კი ისა და ქვინზლენდი ტრანსვაალთან და ნატალთან სათამაშოდ აფრიკას ეწვევიან. ნატალს კარგი კალენდარი აქვს — დარჩენილ თამაშებს შინ მართავს. არც ჩრდილოეთ ტრანსვაალსა აქვს პლეი-ოფში გასვლის ნაკლები შანსი.



### ზღვისრეთის ფრცქვნა გრძელდება

ხვალ პირველად უნდა გაჩაღდეს „პან-პასიფიკური სერიალი" — წყნარი ოკეანის აუზის რვა ქვეყნის ჩემპიონატი, სამ თვეს რომ ჭასტანს. თავიდან კანადა, აშშ, არგენტინა, სამოა, ტონგა, ფიჯი, იაპონია და ჰონკონგი ერთ წრედ, მიმოსვლით ითამაშებენ, ივლისის დამლევს კი ოთხი გუნდის პლეი-ოფი მოეწყობა.

ფიჯს პირველი მატჩი აშშ-ში აქვს, კუნძულელთა ზელანდიელი მწვრთნელი ბრეთ ჯონსთონი კი უკვე საჯაროდ აცხადებს, რომ ფიჯური რაგბი დაქცევის პირასაა. საქმე ისაა, რომ ბობოლა მეზობლები — ახალი ზელანდია და ავსტრალია თამაშის გაპროფესიულების შემდეგ მეტად ატყავებენ ეკონომიკურად განუვითარებელ კუნძულებს — ამათ უკეთეს მოთამაშეებს თავისკენ იბირებენ.

რაღა შორს წავიდეთ, ზე-12-ის მონაწილე გუნდები სავსეა ფიჯელებით, ტონგელებითა და სამოელებით, მკვიდრ მაორთაგან ძნელად რომ გაარჩევს უცხოელი.

ოთაგოს ჰყავს ლიმა, ვაეგა, ვანისი, ფალანიკო, ლატა, მიკა და ლეაუპეპე;

ოქლენდს — სოტუტუ, ლომუ, ტონუუ, ვიდირი, ნგაუამო, ნეპია და მიკა;

ველინგთონს — უმაგა, იერემია, ტელეა, ტიატია, კონია და აფეაკი;

ქენთებრის — ტუკაკი, ბალე, კაუი და ალატინი;

ვაიქათოს — ვეიტაიაკი;

კანბერას — ვუნიპოლა, ფენუკიტაუ და ტავალეა;

ახალ სამხრეთ უელსს — მანუ და დომონი; ხოლო

ქვინზლენდს — რაულუნი და კეფუ.

თუმც რაგბის საერთაშორისო საბჭოს (ირბ) კანონებით კლუბებმა და პროვინციებმა ნაკრებში სათამაშოდ უსიტყვოდ უნდა გაათავისუფლონ მოთამაშეები, თავად მულღაზანზარელ მამლუქებს სარფიან ზე-12-ში ჭიდაობა ურჩევნიათ უფულო ნაკრებებში ბურთაობას.

ერთი სიტყვით, ამ ერთხელაც დასტურდება, რომ ბოგანოთათვის პატრიოტიზმი ლიტონი ცნებაა!

კვირას, თვიქნემში, 31 ათასი მოსეირე მიიზიდა ინგლისის ჩემპიონ „ლესთერისა" და მსოფლიოს ნაკრების მატჩმა. დასკვნით ნახევარ საათამდე სტუმრები 19 ქულით აგებდნენ, მაგრამ მერე ფრანგმა სელამ, ზელანდიელმა ჯოზეფმა, არგენტინელმა პიშომ და იაპონელმა მაცუდამ ლელოები გაიტანეს და მსოფლიომაც 40:31 გაიმარჯვა. გუნდში 11 ქვეყნის მოთამაშეები მიეწვიათ; კაპიტანი ფილიპ სელა იყო, მწვრთნელი — ავსტრალიის ნაკრებიდან დათხოვილი ბობ დვაიერი.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობითა და პარასკეობით. ინდექსი 66 441

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
მერაბ რატიშვილი

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29